

345

1897/2

საქართველო



საქართველოს
ბიბლიოთეკა

ზ ი ნ ა ა რ ს ი

ყოთრნალ „ჯეჯილისა“

I ვარდის ბუჩქი, ლექსი—დ. თომაშვილისა 3

II წისკელი, მოთხრობა—კანასი 5

III ბედნიერების მძებნელი, (რუსულიდან) — განდგეილისა . . 15

IV ზამთარი და ნიბლია, ლექსი — შიო მღვიმეისა 29

V პატარა ლორდის თვე-გადასაველი თარგმანი — ე—კოსი . . 36

VI საკვირველებანი ბუნებისა. ღამის შევნიერება — იალაპა —
ჯაღა ჯღისაშვილისა 48


VII ჯემს გარჟილდის ცხოვრება. (შემდეგი) — ბატუსი 51

VIII მყვარი, გველი და ზღარბი არაკი ქილილა და დამანიდან . 61


IX აკროსტიხი 63

X შარადა 64

მოვაგონებთ „ჯეჯილის“ ხელის მომწერლებს, რომ ვისაც
ყოული სრულათ არა აქვს შემოტანილი, დააჩქაროს შემოტანა.



ყოთრნალი „ჯეჯილი“ 1897 წელსაც გამოვა ყო-
ველ თვე, ე. ი. ხელის მომწერლები მიიღებენ წლის
განმავლობაში 12 წიგნს — ექვსის მაგიერათ და ყოთრნალი
მხოლოთ ერთი მანეთით მეტი ღირს. (თბილისში 4 მ.
და ქალაქ გარეთ 5 მ.)



317
პა 2

3206



საქმეაწვილ ნახატებიანი

უურნალი

345 / 2
1897

იზარდე, მუვანე ჯეჟილო.
დაპურდი, განდი ყანოს!..
ი. დ.

№ II

წელიწადი მეჩვე



ბ უ ი ლ ი ს ი



Дозволено цензурою Тифлисъ, 4-го Февраля 1897 года.

ვარდის ბუჩქი.

შაშიშვლებული ტყე-ველი
 გაჩუმებულა, მღუმარებს,
 თითქო რაღაცას გლოვს და წუხს
 და ცრემლებსა ღვრის მწუხარეს.
 მოფენილია თოვლითა
 მინდორი, არე-მარეა
 და მაზედ თავისუფლათა
 სეირნობს ცივი ქარია;
 თოვლსა აგროვებს, გორებს დგამს,
 ჰა, ამოავსო ხეები;
 იმის ცოფიან შეხლახნე
 მწარეთ ჰკენესიან ხეები.
 თოვლის სიცივით დაზრულთა
 დაუქინდრიათ თავები
 და გაზაფხულსა ელიან
 სულ-წასვლით საცოდავები.
 არსად ფრინველი, ცხოველი,
 რომ კაცმა დაინახოსა,
 ბელურები ჭყივიან
 მხოლოთ საბძლისა ახლოსა;
 ჰკენკავენ, სურთ, რომ გაიძლონ
 პატარა მუცელ-ფაშვები,
 აქვე კი მახეს უგებენ
 იმათ ბოროტი ბაეშები!
 იქ, ბალში, ბუჩქი ვარდისა



თოვლსა მთლათ ჩაუკეცია,
ზედ დასწოლია გულ-ცივი,
როგორც სასტიკი მხეცია.
ბუჩქის წვერო ჩანს, თითქო ტირს:
გლოვის დღე მადგა მწარეო,
ამა გულ-ცივი ზამთრისგან
წელში მთლათ მოვიხარეო.
როდის იქნება განეკურნო
ეს გული ნაღელიანო,
ახ, როდის მოვა კეკლუცი
ზაფხული მადლიანო!
როდის იქნება მოვისხა
კოკრები სახელოვანი,
ზედ ტურფა ვარდი გავშალო
ყვავილი სურნელოვანი,
თბილმა სიომა საამომ
ფოთლები ამიშრილოს,
მოფრინდეს ნაზი ბულბული
გალობა ჩააკრილოს!

დ. თამაშვილი.



წ ი ს ქ ვ ი ლ ი.

(ეუძღენი ბიძინა ლამბ — ძეს)



I

ემო მაძიკო, სჯალ წისქვილში წამიუვა-
ნე, რა არის; წისქვილის ნახვა მენატ-
რება.

— შვილო, სამთარია და ვაი თუ გზასე შეგცვიფ-
დეს.

— არ შემცვივა: შიგნით ახალუხს ჩავიცვამ, კარედან
ჩოხას, ბანდურებში ბევრ თივას ჩავტენ და თავსე კიდევ
ვაბალახს შემოვიხვევ! ასე ესვეწებოდა ჰატარა ჰეტრე თა-
ვის მამა საჩინოს.

ჰატარა ხანს საჩინო უარსე იღვა, მაგრამ, რადგან
თბილი ამინდი იყო და ჰეტრესაც მართლა წისქვილი
ჯერ არ ენახა, მალე დათანხმდა.

გახარებულმა ჰეტრემ წამოავლო ხელი თავის კოხტა
ციგას და კარეთ გავარდა; მიიღბინა მესობლისას, შეატ-
უობინა დათუნას და ორივემ ერთათ გასწიეს დაღმართი-
საკენ, სადაც მათი საუვარელი სასრიალო იყო. რაც და-
ხამთრდა და თოვლმა ჰირი მოიმაგრა, ჰეტრე და დათუ-

ნია ამ სასრიალოს აღარ შორდებოდენ; დასსდებოდენ ცი-
კებზე და ერთმანეთს გაეჯიბებოდენ: აბა, რომელი გა-
ასწრებს, ან ვინ უფრო შორს გასლიკინდებაო. დათუნია
დაიძახებდა: ერთი... ორი... სამი, და ერთის ამბით და
უვირილით ორივე ძირს დაექანებოდენ თავის ციკებით;
ცალ ხელში ციკის ბაწარი ეჭირათ, მეორეში ქუდი და
სულ წიწინ-წიწინით მიქროლავდენ. სშირათ ციკები სრია-
ლის დროს ერთბაშთ შემოტრიალდებოდენ და ჰეტრესა
და დათუნიას აქით-იქით ისვრიდენ; ისინიც სიცილ-ხარ-
ხარით მარდათ წამოხტებოდენ და გასწევდენ ციკებისა-
კენ... როცა სრიალით გაჯერდებოდენ, შემდეგ ჭიდაობას
დაიწეებდენ; ხან ჰეტრე იყო ქვეშ, ხან დათუნია... გააკე-
თებდენ თოვლის გუნდებს; ერთი უნდა დამდგარიყო და
მეორე კი მიაყოლებდა სურგში თოვლს, ხანამ არ ააც-
დენდა; თუ ააცდენდა, მაშინ თვითონ დადგებოდა
და ჰირველი თოვლის გუნდას დაუშენდა. საქმე ასლა იმა-
ში იყო, ვის უნდა მიეშვირა ჰირველათ სურგი. ჰეტრემ
და დათუნიამ კენჭის-ურა იცოდენ: დადგებოდენ ორივე
ერთათ და ერთი მათგანი დაიწეებდა:

- იწილო, ბიწილო,
- შროძანო, კვრიტინო;
- აღსო, მალხოს,
- ჩიტმა კნახოს;
- შენი ფესვი, ფესვმანდური,

გადაბრუნდი, გადმობრუნდი,
სკუპ და რიკ.

ყოველ სიტყვის თქმის დროს, მთქმელი ხან თავის გულზე დაადებდა ხელს, ხან მეორის გულზე: ჰირველი სიტყვის თქმის დროს თავის გულზე, მეორე სიტყვის თქმის დროს მეორეს გულზე, და ამგვარათ განაგრძობდნენ ბოლომდის; უკანასკნელი სიტყვა „რიკ“ ვის გულზედაც გათავდებოდა იმას უნდა მიეშვირბო ხურცი, უარს ვედარ იტყოდა. დღეს ჰეტრეს შესვდა დადგომა. მეტი რა ღონე იყო, დადგა ათი ნაბიჯის მანძილზე და დაუწყო ლოდინი. დათუნიაძაც ჰანტასავით დაუბრა გუნდა.—ეი, ნუ იკუსები, თვარა, რომ აცდეს, არ გიჯერებ—უევიროდა თან.—როდის ვიკუსები! უზასუსებდა ჰეტრე და თან ნატრობდა: როდის იქნება, რომ ამაცდინოსო. ბოლოს შეეწია ღმერთი და აგი აცდა. ჰეტრე სისხარულით შესტა, დატრიალდა და გამოიქცა უკან. ახლა დათუნია დადგა და ჰეტრემ კი თოვლის გუნდა დაუშინა. ამასობაში კიდევ მოღამდა. ორივემ შინისაკენ გამოსწიეს. თუძცა დაქანცულები ივეენ და ჰეტრეს თან ფისიცი მოჭქონდა ბლომათ, მაგრამ ორივენი მაინც თავისას არ იშლიდნენ: წაჭკრავდნენ ხოლმე ერთმანეთს ხელს ზ თოვლში ჰარტეა-ჰურტეი გაჭქონდათ; თავიდან ფეხებამდე თეთრათ ივეენ გაგანგლული.

— იცი, დათუნია, ხვალ მე აქ აღარ ვიქნები! დავიყო ღიმილით ჰეტრემ.

— აბა სად წახვალ? დაეკითხა ჰეტრე.

— თუ ბიჭი ხარ, გამოიცანი.

— წახვალ სადმე, რა!

— ეგ რა გამოცნობა არის? თუ ბიჭი ხარ, ის მით-
ხარი, სად წახვალ?

დათუნია ბევრს ეწვალა, მაგრამ ვერ გამოიცნო.

— აბა ერთ გამოცანას გეტყვი, მიუბრუნდა ჰეტრე:—
თუ გამოიცნობ, მაშინ ისიც გეცოდინება, ხვალ სადაც
მივდივარ:

თოფა ხისა, ტყვია წელისა;

ხეს ეცა და ქვა გაიქცა.

— საჭეუპელა, მიაძახა დათუნიამ.

— ვერ მოკარტვეს.

გადინარხარა ჰეტრემ.

— მაშ რა არის?

დაეკითხა გულ-გატეხი-
ლი დათუნია.

— რაც არის, გამო-
იცანი, თუ ბიჭი ხარ!

დათუნია ბევრს ეწ-
ვალა, მაგრამ ვერ გა-
მოიცნო.

— მომიცია გოჭის
ცისე, მოიხარა ბოლოს
მან ქედი.



წ ი ს ქ ვ ი ლ ი

— მოდი გორის ციხე ჩემთანა, ხელი არავისა აქვს შენთანა, დაწყო ჰეტრემ: — თუმცა იეოს და თუმცა არა — წისქვილი.

— სადაური წისქვილია? მიაძახა დათუნამ: — უკან მოიტა გორის ციხე!

— სადაური და ჩვენებური! მე ასე გამოგონია ეს გამოცანა, ხვალ დილას ჩემი თვალით ვნახავ და მაშინ გეტყვი, სადაურიც არის.

თუმცა ჰეტრემ იცოდა, რომ ეს გამოცანა წისქვილს ნიშნავდა, მაგრამ რა მსგავსება ჰქონდა ამ გამოცანას წისქვილთან, ეს კი აღარ იცოდა, რადგანაც ჯერ წისქვილი არ ენახა და ამიტომ, რასაკვირველია, დათუნისაც ვერ აუხსნიდა.

II

ღამე ჰეტრეს სიხარულით აღარ დაძინებია, სულ იმას ჭფიქრობდა, როდის იქნება, რომ გათენდეს და წისქვილი ვნახოვო. წისქვილი მას ერთ შვენეურ ციხე-დარბაზათ წარმოედგინა, სადაც რაღაც უცნაური ძალით მიტანილი სიმინდი და ჰური ფქვილათ იქცეოდა; იმისთანა სასახლე მთელს ქვეყნიერობაზე მეორე აღარ უნდა ეოფილიყო, ჰეტრეს ფიქრით... ირახრახა თუ არა, გამოღვიძება არ დაჭირვებია: მარღათ წამოხტა, სწრაფათ ჩაიძვა და პირი

დაიბანა; შემდეგ მიიღბინა თაროსთან, მოიტანა ჭადის ნატეხი და ცეცხლს მიუფიცხა.

ეს ჰეტრეს ჩვეულებრივი საუსმე კახლდათ. ამასობაში სახინომ ორი მარხილი შეაბა, დაუღო ზედ სიბინდით სავსე საცალოები, ერთზე ჰეტრე დასვა, მეორეს თითონ გაუძღვა წინ და გასწია წისქვილისაკენ.

— თფეიჭ! ვრეკებოდა ჰეტრე ხარებს, ცალი ხელით სახრეს უქნევდა და მეორეში გაფიცხებული ჭადის ნატეხი ეჭირა და შეეცეოდა. სახინოც მხიარული სახით მისჩერებოდა თავის ჰეტრეს და ამ დროს მის წარმოდგენაში დახატული იყო მოძავლის სურათი, როცა ჰეტრე წამოიხრდებოდა, წისქვილზე მარტო წავიდოდა, თავისიანებს გამოადგებოდა, დედ-მამის ნუკეში იქნებოდა...

ამასობაში წისქვილსაც მიუახლოვდენ; დაჩვეულმა ხარებმა წისქვილისაკენ გაუსვიეს, მაგრამ ჰეტრემ სახრე მოუქნია და სხვა მხრისაკენ გარეკას უპირებდა, რომ სახინოს არ დაემახა: შვილო, ხარებს თავი დანებე, მაგათ გზა არ შეეძლებათო. ჰეტრემაც გაუშვა ხარები; მათ გაუსვიეს განსე და ერთ უბრალო ოთხ-კუთხ სახლთან გაჩერდენ, რომლიდანაც რაღაც გრიალი გამოისმოდა. ჰეტრე გაშტერებული იყო და არ იცოდა, რა ექნა, რომ ამ დროს სახინოს არ გადმოესვა მარხილიდან და არ ეთქვა: გადმოდ, შვილო, წისქვილში მივედითო.

გაოცებულმა ჰეტრემ თვალები დააჭეიტა, როგორ თუ

წ ი ს ქ ვ ი ლ ი

წისქვილი?! ეს სომ უბრალო სახლია! — ოთხ-კუთხი, მელური, ჩალით დასურული. „რითი ჯობია ეს ჩვენ ბოსელსა!“ ამბობდა თავის გულში გაცეცხული ჰეტრე. მხოლოდ მაშინ დარწმუნდა, როცა მამა მისმა საცალოები გადმოაწყო და წისქვილში შეიტანა. ჰეტრე წისქვილში შევიდა, მოდი ერთი ვნახავ, შიკ მანც რა არისო. თუმცა წისქვილი ვარეგანი შესედულობით იმათ ბოსელს ჰგავდა, მაგრამ შინაგანი მოწყობილობით სულ სხვანაირი იყო: ცალი კედლის სიგრძეზე ძირს, ამაღლებულ ადგილზე, ოთხი დიდი რკვალი ქვა იყო მოთავსებული; თითო ქვას შემოდან ერთი იმხელავე რკვალი ქვა ედვა; ეს მეორე ქვა შუა ალაგას განვრეტილი იყო და ტრიალებდა; უოველ ქვასთან შემოდან რაღაც ძრო-კუნჭულო უუთი იდგა, საიდანაც თითო-თითო მარცვლათ სიმიინდი ცვიოდა და ამოჭრილ ქვაში ვარდებოდა; იქ რაღა სდებოდა, ჰეტრე ველარ სედავდა, მხოლოდ ქვასა და ქვას შუა ფქვილი გამოდიოდა და ძირს, სის კასრებში, გროვდებოდა.

— ეს შენი ბიჭი იქნება, საჩინო! მიუბრუნდა საჩინოს მოხუცი მეწისქვილე.

— დიანს, უპასუსა საჩინომ.

— ღმერთმა მოგცეს, კარგი ბიჭი გეოლია. შენი სახელი? დაეკითხა მეწისქვილე ჰეტრეს.

— ჰეტრე, — უპასუსა მან.

— ე მარცვლები ქვაში რათა ცვივა? ჰკითხა ჰეტრემ მეწისქვილეს ცოტა სნის სიჩუმეს შემდეგ.

— იმიტომ ცვივა, რომ დაიფქვას, უნასუსა მეწისქვილემ, — სომ სეღავ, ზედა ქვა ტრიალებს, ქვედა კი გაჩერებულია, ზედა ქვა ამოხვრეტილია — ეელიანია, შიგ მარცვალი ვარდება და ქვედა ქვაზე ეცემა; ზედა ქვა კიდევ ტრიალებს, მარცვალს სრესავს და ფქვილათ აქცევს; ქვასა და ქვას შუა ფქვილი დაგროვდება, შემდეგ გარეთ გამოცვივა საფქვილე ჰირიდან და ალასში მოგროვდება. წისქვილის ქვებთან რომ კასრები დგანან, სომ სეღავ: ალას მაგას ვეძახით.

— მერე ქვა რომ არ იეოს, სხვა ვერაფერი დაფქვავს?

— ქვა უკეთესია, რადგანაც მძიმე არის და მარცვალს კარგათა ფქვამს; წისქვილისათვის ეველა ქვა არ ვარკვა, ქვა ძალიან მაგარი უნდა იეოს, თვარა, თუ ფხვიერი იქნა, ფქვის დროს თვითონაც გაიხეხება და ნახენი ფქვილში გაერევა.

— მარცვალი რომ შემოდან თითო-თითოთ ცვივა, ის არა ჯობია, რომ ბევრი ჩამოცვივდეს, უფრო ძალე დაიფქვება.

— ძალე დაიფქვება, მაგრამ ფქვილი არ ივარკებს; აბა ჰირში ჯერ სამი კაკალი ჩაიდევნი, მერე ერთი, და შინჯე, რომელს უფრო ადვილათ გატეხავ, სამს თუ ერთს?

— ერთ კაკალს უფრო ადვილათ გავტეხავ, უხასუსა ჰეტრემ.

— წისქვილიც აგრე არის; თითო-თითო მარცვალი როცა ცვივა, ქვა ადვილათ ფქვავს, ბევრი რომ ჩამოცვივდეს, გლახათ დაიფქვება, დაიღერდება, ფქვილი სხვილი გამოვა და გამოსაცხოზობათ არ ივარგებს.

— მერე ქვაზე ე ჰატარა ლაფარა რაღას დარაკრუკებს?

— მაგ ლაფარას სარეკი ქვია, უხასუსა მეწისქვილე: — აბა შეხედე, ეგ შეერთებულია, ჰატარა უღლით, ღართან, რომელსაც კრიჭას ვუძახით; კრიჭა კიდევ სვიმირის ჰირთან არის შეერთებული. სარეკის თავი ქვაზე არის დაშვებული; როცა ქვა გოგვას დაიწეებს, სარეკიც არაკრუკდება, კრიჭას განძრევს და სვიმირიც შეიწევა; მაშინ სვიმირიდან ნელ-ნელა მარცვალი წამოვა და ქვის უელში ჩავარდება.

— ქვას რაღა ატრიალებს? იკითხა კიდევ ჰეტრემ.

— აბა გარეთ წამოდი და გაიკებ.

ჰეტრე და მეწისქვილე გარეთ გამოვიდნ.

— აი, სომ ხედავ, ოთხი დიდი ხის ღარი რომ არის დაკეებული, ზედ წყალი ჩარბის. ღარები მიტომ არიან დაქანებული, რომ წყალი სწრაფათ გაიქცეს; გაქცეული წყალი ხის ბორბალს სვდება, ბორბლის ბოძზე ზევით წისქვილის ზედა ქვა არის მიმაგრებული; წყალი ისე

მაგრათ ხედება ბორბალს, რომ ბორბალი ტრიალებს და მის ბოძზე მიმაგრებულ ქვასაც ატრიალებს. როცა საფქვავე არ არის, მაშინ წყალს ღარს იქით გადაფუკდებთ, ღარზე აღარ გაფუშვებთ და წისქვილიც გაჩერდება.

ახლა კი მიხვდა ჰეტრე, რომ იმის გამოცანა მართლაც წისქვილს ნიშნავდა: თოფი ხისა — ღარი იყო, ტუკია წელისა — ღარზე მიმდინარი წყალი, წყალი ხის ბორბალს ეცემოდა და ქვა კი კარბოდა — გოგავდა.

— ჰირველ დანახვაზე წისქვილი გლახა მეჩვენა, მაგრამ ახლა რა კარგი რამა ეოფილათ, წარმოთქვა ჰეტრემ.

— მართალია, ჩემო ჰეტრე, უპასუხა მეწისქვილემ: გარეგანი შესედულობა ჩვენ სძირათ მოგვატყუებს ხოლმე; ბევრი გარეგნობით ერთობ კარგი და ძვენიერია, მაგრამ, ახლოს რომ გაშინჯო, შიგ არაფერი არა ურია. ბევრი კი გარეგნობით ძალიან უბრალო და ულახათობა; ჰირველ შესედაზე სრულიად არ მოგეწონება, როგორც ეს წისქვილი, ეურადღებასაც არ მიაქცევ, მაგრამ, როცა კარგათ გაშინჯავ და დაუკვირდები, დარწმუნდები, რომ გასაოცარი და გასაკვირველი ეოფილა.

ვანო.

ბედნიერების მკებნელი.

(გადმოკეთებული რუსულიდან)



(გუძღვნი ჩემ მეგობარს პატარა შალიკოს).

ისაც ჩემი დალუბვა არ უნდა, ჩემ შვილს მეომარ-გმირთა ამბები არ უამბოსო*. — ყველასთან ასე ამბობდა მთავრის ქვრივი და ამიტომაც სულ სხენაირი ცხოვრება დაიწყო. იმის გულს დაუშრეტელ ცეცხლათ ედებოდა ის მოგონება, როდესაც იმისი ქმარი და ექვსი ვაჟი ერთ დღეს იმსხვერპლა მტრის მახვილმა:

ყველანი გმირობის მიმდევარნი იყვენ და სიცოცხლევც შესწირეს ამ გატაცებას.

მთავრის ქვრივმა დასტოვა თავის სახლ კარი, სადაც ბევრი სამწუხარო მოგონებები მოსვენებას არ აძლევდა, გადასახლდა სულ განცალკევებულათ და მოსამსახურებათაც მხოლოთ დედაკაცები და ორიოდ მოხუცი შინა — ყმა აირჩია: „ქალები საგმირო საქმეებით გატაცებულნი არ არიან, ხალო ამ მოხუც მამაკაცთ რა ომის ამბებისა სცხელათ, ფეხი სამარეში უდგიათო“ — ფიქრობდა გულ-დაჩაგრული დედა და თავს ევლებოდა თავის ერთათ-ერთ შვილს, ლევანს.

ლევანმა მეზობლის ბიჭებისაგან ისწავლა მშვილდ-ისრის სროლა და დედაც არ უშლიდა ამგვარ თამაშს.

როცა წამოიზარდა ლევანი, ხშირათ მიდიოდა სოფლის ბოლოს: იდგა და გაჰყურებდა შვენიერ სქელ ტყეს, ლამაზათ მიხვეულ-მოხვეულ შარას, რომელზედაც იშვიათათ თუ გამოჩნდებოდა ხოლო-

მე მგზავრი, და იმის ანგელოზურ სახესა და თვალებში რაღაც ცნობის მოყვარეობა იხატებოდა.

„რა შევნიერი აღვილია, რა გრენილივით მიიკლაკნება ეს გზა, ამ ტყის ნაპირას და მგზავრი კი არსაიდანა ჩანს“ — გაიფიქრებდა ლევანი და, თითქო აწყვიენა ვინმემო, გულდაწყვეტილი გამობრუნდებოდა შინისაკენ.

ერთ საღამოს, ჩვეულებრივით იდგა ლევანი გზის პირათ და გაჰყურებდა ბუნების შევნიერ სურათს. მაგრამ მისი ყურადღება სულ სხვა რამემ მიიპყრო ახლა: გზაზე გამოჩნდა სამი ცხენოსანი ვაჟკაცი, ძვირფასი იარაღით მორთული და ლევანიც საჩქაროთ გაექანა იმათკენ. ერთი მათგანი მოუბრუნდა ლევანს და აღერსიანათ უთხრა:

— ჩემო კარგო, მითხარი, თუ ნახე დღეს ბედნიერება აქეთკენ მომავალი?

— მე არ ვიცი რა არის ბედნიერება, — მიუგო ლევანმა.

— არ გინახავს გმირი, ბრწყინვალე იარაღით გამოწყობილი? აი, ის იყო ბედნიერება.

— მაგას ნუ დაუჯერებ, ყმაწვილო, ბედნიერება ყოველთვის თეთრ ცხენზე მჯდომი, თეთრათ ჩაცმული ქალწულის სახით გამოეცხადება ადამიანს, — უთხრა ლევანს მეორე მგზავრმა.

— სტყუის, — დაუმატა მესამემ — ის საოცარ ჩვენებათ წარმოუდგება მნახველს.

— როგორც ვატყობთ, თქვენ თითონაც არ იცით რას მისდევთ, — სიცილით უთხრა ლევანმა. — დღეს მე გმირიც ვნახე შევნიერი იარაღით შეჭურვილი, ქალწულიც ვნახე თეთრათ ჩაცმული და თეთრ ცხენზე მჯდომი და საოცარი მოჩვენებაც ვნახე; გმირი განთიადისაკენ მიდიოდა და მეც თან მიწვევდა, — ურწმუნოებთან საბრძოლველათ; ქალწული შუადღისაკენ მიწვევდა, საუკუნო სიჭაბუკის წალკოტისაკენ; ხოლო საოცარი მოჩვენება კი შუაღამის წყვილადისაკენ, საუკუნო ყინულიან მხარეს შიისწრაფოდა — ამათგანი რომელია ბედნიერება?

ბედნიერების მკებნელი

— რატომ არ გაჰყევი ბრწყინვალე იარაღით აღჭურვილ გმირს?
— ჰკითხა ლევანს პირველმა მხედარმა, — შენ სამუდამოთ დაგიკარგავს ბედნიერება!

— ვერ წავეყევი იმიტომ, რომ იმის სურვილი იყო გამეყიდნა სამთაგრო და ბევრი ფული წამეღო თან. სამთაგრო ჩემი არ არის, დედა ჩემისაა და ფული კი რა არის — არ ვიცი.

— შენ დაგიკარგავს ბედნიერება იმით, რომ თეთრათ შემოსილ ქალწულს არ გაჰყოლიხარ! — უთხრა ლევანს მეორე მხედარმა.

— ქალწულსაც ვერ გავეყევი იმიტომ, რომ იმას უნდოდა ჩემ ოჯახს მოეშორებოდე, არ გამოემშვიდობებოდე დედას და ისე გავყოლოდი — საუკუნო სიჭაბუკის წალკოტისაკენ, საიდანაც ვერც ერთი ადამიანი ვერ დაბრუნდება. მე არ შემიძლიან დედის ნებადაურთველათ წავიდე სადმე და მით უმეტეს არ წავალ ისეთ მხარეს, საიდანა ვეღარ მოვბრუნდები.

— შენ ძალიან გონიერათ მოქცეულხარ, ჭაბუკო, — უთხრა ლევანს მესამე მხედარმა, — მაგრამ ბედნიერება მაინც დაგიკარგავს, რადგან საოცარ მოჩვენებას არ გაჰყოლიხარ.

— ვერც საოცარ მოჩვენებას გავყვებოდი, — მიუგო ლევანმა — მოჩვენება იგი ხალხს უფრთხოდა, გარბოდა საუკუნო ყინულის მწარეს და მე კი ხალხი მიზიდავს, ამიტომაც მე და ის ერთ გზას ვერ დავადგებოდი. იმას მაინც არ გაუწევივარ თავისაკენ.

მხედრებმა აღარაფერი თქვეს. ლევანი რამდენსამე წამს გაჰყურებდა იმ გზას, რომელზედაც ძუა-ფაფარ აშლილ ცხენებს გმირულის მედიდურობით მიაქროლებდენ მხედრები.

თითქმის ოთხ-ხუთ დღეს მეტათ დაფიქრებული იყო ლევანი. შემდეგ, თითქო წამალი უპოვნა თავის მღუმარებასაო, სახე გაბრწყინებული მივიდა დედასთან და მოკრძალებითა და სიყვარულით ჩაეკრა გულში.

— ჩემო საყვარელო დედავ! ბედნიერების საძებნელათ მინდა წავიდე და შენ რას მეტყვი?

საცოდავ დედას გული გადაუბრუნა შეილის სიტყვებმა. ის კარგათ მიხედა, რომ ყოველმა ცდამ ამაოთ ჩაუარა. ლევანსაც იმგვარივე საგმირო საქმეები იზიდავდა, როგორც მის მამასა და ძმებს. თავზარ-დაცემულმა დედამ ობოლ მარგალიტებივით გადმოაკრიალა ცრემლები.

— შეილო, ნუ თუ შენს მოყვარულ დედას მართა დაადგებ და წახვალ? განა მოგძულდა ჩემთან ყოფნა?

— ოჰ, ჩემო საყვარელო დედავ! მაგას რათ ამბობ! შენთან ყოფნა არასოდეს არ მომძულდება, მაგრამ მინდა ბედნიერება ვეძიო და თუ შენ არ დამიშლი—წავალ.

— კარგი, წადი, მაგრამ ყოველთვის განსოვდეს ადამიანის უპირველესი მოვალეობა: იყავი პატროსანი, მხნე, დაეხმარე გაჭირვებულთ, უსამართლობისაგან დაიფარე დედაკაცი—როგორც უნდა იყოს: ყმა-წვილი, მოხუცი, ლამაზი თუ მახინჯი—და თანასწორათ გიყვარდეს ყველა, ღარიბიცა და მდიდარიც. ჩემი დედობრიული ღოცვა ყველგან გფარავდეს, შეილო, — უთხრა დედამ ლევანს, მხურვალეს გრძობით დაჰკოცნა და წალმა დაატრიალა.

გახარებული ლევანი მარდათ შევიდა საჯინ-ბოში, ახსნა ლამაზი კვიცი, გადააჯდა ზედ და გასწია ბედნიერების საძებნელათ. დიდხანს იხეტიალა უკზო-უკვლოთ ლევანმა და დიდი გაჭირვებაც გამოსცადა, მაგრამ შინ მაინც არ დაბრუნდა: „თუ კი იმ მხედრებმა ნახეს და იცნეს ბედნიერება, მე რა დამემართება, რომ თვალი მაინც ვერ მოგკრაო“, ფიქრობდა და იმის გონებაში სხვა-და-სხვანაირათ აფერადებული იხატებოდა ბედნიერების სურათები. ლევანი მიუახლოვდა დიდ მდინარეს, აჰხედა მარცხნით ამართულ თვალ-აუწყდენენ კლდეს და, ცოტა არ იყოს, ჩაუიქრდა. ისეთი სიჩუმე იყო იმ არე-მარეში, თითქო წყალსაც კი ჩაძინებიაო. მაგრამ ლევანი მალე გამოარკვია კლდიდან წამოსულმა ქვის ნამტვრევებმა, რომელ-

ბედნიერების მძებნელი

ნიც შურდულივით მოექანებოდნენ თავ-დაღმართისაკენ. „უთუოთ არწივის ან სხვა ფრინველთა ფრთა მოხვდა და იმან გადმოყარა ეს ნამტერევებიო“, — გაიფიქრა ლევანმა და უფრო გულ და გულ აჰხედა პიტალო კლდის მწერვალს, მაგრამ სულ სხვა სანახავი წარმოუდგა მას: კლდეზე იდგა ხუთის წლის ვაჟი, რომელსაც ანგელოზური თვალები სიყვარულით მიეპყრო ერთ მხარეს და აღმასივით მოვლვარე კბილთა ციმციმი ცვლქურათ ეთამაშებოდა ოდნავ მომღიმარე ყაყაჩოს ფერ ბავეს. მხარ-ილივ მოგდებულ სპეტაკ სამოსელს კრძალვით ეხებოდა ნაზათ მოჩურჩულე სიო და ბამბის ქულასავით ფუნთუშა ფეხებს სხივთა გუნდრუკს უკმევდა ჩამაფალი მზე. ლევანი გააშტერა ასეთმა სანახაობამ. მან თვალი ევლარ მოაშორა ამ განხორციელებულ ანგელოზს, უნდოდა დაეძახნა, ეთქვა რამ იმისთვის, მაგრამ კლდეზე მდგომი ისეთი გატაცებით გაჰყურებდა რალაცას, რომ ლევანმაც იქითკენ მიაპყრო თვისი თვალები, სითაც ეს უმანკო არსება იხედებოდა. მდინარის ნაპირას, გზის მარჯვენა მხარეს იყო პატარა ქოხი, რომლის კარებთან იდგა უმეცნიერესი ქალი, ძვირფასი ტანისამოსით გამოწყობილი. თავზე ედგა თვალმარგალიტით შემკული ჯილა და იმის წერწეტ ტანსა და ფართო მხარ-ბეჭს ერთი ორათ აშვენებდა გიშრის ფერი დედრიანი ნაწნაფეხი. „უთუოთ, ეს შვენიერი ქალი დედაა ამ ბავშვისა“, — გაიფიქრა ლევანმა და თავისა ცხენი წყნარის ნაბიჯით წაიყვანა ქოხისაკენ.

— მობძანდით, ყმაწვილო, — უთხრა მასპინძელმა ლევანს და სტუმართ მოყვარეობით გაუწოდა ბროლივით თეთრი ხელი

— ჰური მიირთვით, დაღალული ხართ, მოისვენეთ, — უთხრა ქალმა და მიიწვია სუფრისაკენ, სადაც მრავალგვარი სანოვაგე იყო დაწყობილი. „სწორეთ ეს არის რასაც ვეძებ“, — გაიფიქრა ლევანმა და ამდენი ხნის მშვიერმა სიამოვნებით მიჰმართა საკმელს.

— ცხენიც მომშეულა იქნება, აღვირს წავეყრი და მოსძოვოს ბალახი, — თქვა ქალმა და კეკლუცათ გასრიალდა ქოხიდან.

„ნამდვილათ, ნამდვილათ ეს არის ბედნიერება და მადლობა

ღმერთს, რომ ბევრი ჯაფა არ დამჭირდა მ-ს საპოენელათ,—ფიქრობდა ჭაბუკი და კარებს მისჩერებოდა:—როდის შემოვა მასპინძელიო.

— დედიჯან, ღეთის გულისათვის, მითხარი თუ შენა ხარ ბედნიეკება, — მუხლ-მოდრეკით შეევედრა ლევანი ახლათ შემოსულ ქალს.

— არა, მე ბედნიეკება კი არა ვარ, მოწყალება ვარ და ამიტომაც ყოველ მშვიერ-მწყურვალს მზა ტაბლა ელოდება ამ ჩემ ქონში. შენ, ჩემო სტუმარო, მგონია, ძალზე მომშეული იყავი და იქნება შენით ვერც კი მოჰბედავდი, თუ მე არ მომეწვიე! ჩემი მოვალეობაა ყველას ხელი გაუწოდო დასახმარებლათ.

— კეთილო მასპინძელო, ვერ მიმასწავლი სად არის ბედნიეკება?

— ბედნიეკება ერთ მაღალ მთაზეა, მაგრამ რომელია ეს მთა, — არ ვიცი. მე მყავს ძმა, რომელსაც სიმატლეს ჰქვია, წადი იმასთან და ის გაჩვენებს ბედნიეკებას

ლევანმა მადლობა უთხრა მასპინძელს და წავიდა. საღამო ჟამს ერთ შევნიერ სასახლეს მიაღდა; სახლის კარები ღია იყო და ლევანიც დაუკითხავათ შევიდა დიდ დარბაზში, სადაც დიბა-ატლასებით მორთულ ტახტზე მხარ-თეძოთი წამოწოლილი იყო ღვთაებრივი სახის მქონი თეთრ-წვერა მოხუცი; მან აღერსიანათ მიიწვია ახლათ შემოსული სტუმარი, იმის მხლებლებიც ზრდილობიანათ მიესალმენ ლევანს. მოხუცმა ჰკითხა მისეღის მიზეზი და ლევანმაც უამბო.

— ბედნიეკების საძებნელათ დავდივარ; მოწყალებამ თავის ძმა სიმატლესთან გამაგზავნა — ის გასწავლის ბედნიეკების გზასაო, — მაგრამ, მგონია, ძალიან დავშორდი გზას.

— კარგათ მოგიგნია, ჭაბუკო! მოწყალების ძმა სიმატლეს მე ვარ, მაგრამ ბედნიეკების გზას კი ვერ გაჩვენებ. წადი ჩემ უმცროს ძმასთან, რომელსაც მატლეს-მსაჯულეს ჰქვია და, თუმიცა ის დაბადე-

ბედნიერების მძებნელი

ბიდანვე ბრმა, მაგრამ, გამოცდილი კაცია და იქნება იმან გასწავ-
ლოს ბედნიერების გზა.

მოხუცმა აჩუქა ლევანს მძლეკელი მასკილი, რომელიც მხოლოდ
მართალ საქმეზე გამოგადგებოა, ასწავლა იმის ხმარება და დილა
აღრიან გაისტუმრა. ლევანმა კარგა ხანს იარა და ბოლოს მივიდა
ერთ დიდ კოშკთან, გადახტა ცხენიდან და ავიდა კიბეზე. კოშკში,
საპატიო ადგილას იჯდა შვენიერი კაცი, სრულიათ ბრმა. გარშემო
ეხვია აუარებელი მოსამსახურეები, რომელთაც სიმდაბლით თავი
დაუკრეს სტუმარს და მოკრძალებით ჩამოართვეს იარაღი. ლევანი
გვერდით მოისვა მასპინძელმა და გააბეს ბაასი. ბოლოს ჰკითხა
ბრმამ მისვლის მიზეზი და ლევანმაც ყველაფერი უთხრა.

— მართალია, მატყლ-მსაჯულებს მე ვარ, მაგრამ ბედნიერების
გზას ვერც მე გასწაველი. ბედნიერების გზა მხოლოდ იმისმა უმცროს-
მა დამ იცის; იმას ჰქვია სიყვარული. მაგრამ მუდამ ერთ ადგილს
არ ჩერდება და ამიტომ არ ვიცი ახლა სად არის. წადი და თუ სად-
მე შეგხედეს ახალგაზდა ქალი, რომელსაც ხელში ყრმა ეჭიროს,
იმას ჰკითხე და ყველაფერს გასწავლის.

მეორე დღეს ლევანი გამოემშვიდობა ბრმა მასპინძელს და გა-
უდგა გზას. ცოტა რომ გაიარა, საოცარი ტირილისა და მოთქმის
ხმა შემოესმა. ლევანმა მიიხედა მარჯვნივ და დაინახა ახალგაზდა
ქალი, რომელსაც მკლავზე ჩამოედო ძვირფას უნაგირით შეკაზ-
მულ მერანის აღვირი და თითონ კი ხის ქვეშ მდგომი მწარეთ ტი-
როდა.

— რა გატირებს, დაიევ, ან ეინა ხარ? — ჰკითხა ლევანმა და
ცნობის მოყვარობით დააშტერდა გულ-ამოსკენილ ქალს.

— მე სიყვარული ვარ, ბედნიერების ღვიძლი და და ვტირი იმი-
ტომ, რომ ვერსად სამკვიდრო ბინა ვერ მიპოვნია. ყველანი წამ-და-
უწყუმ მახსენებენ, მაგრამ ღირსეულათ კი არ მაფასებენ. შემომხედე,
ჭაბუკო, კარგათ შემომხედე — როგორი ვარ! განა უსამართლობა

არ არის, რომ ჩემი უმანკო სახელი სათვალთმაქცო იარაღთ გამოიყენონ?

ლევანმა ველარაფერი უთხრა მტირალ ქალს. თითქო თითონაც დამნაშავეაო, ისე თავ-დახრილი დაჰყურებდა მიწას.

— შენ სად მიდიხარ, ყმაწვილო? — შეეკითხა ქალი.

— ბედნიერების საძებნელათ! და, რადგან შენ იმისი ღვიძლი და ხარ, მასწავლე სად არის ბედნიერება.

— ბედნიერება?! დახ, ღვიძლი და ვარ იმისი, მაგრამ ის შორს, ძალიან შორს არის ჩემგან. შენ, კიდევ რომ იპოვნო იმისი ბინა, მაინც ვერ ნახავ, თუ სამი რამ არ შეასრულე.

— რა უნდა შევასრულო? — ჰკითხა ლევანმა.

— უნდა შეეწიო სისწყლეს, დაიფარო სიბჭმნე და გაათავისუფლო იმედი.

— ვეცდები! — მიუგო ლევანმა სიუკარულს.

— მაშ, ეს ჩემი მერანი შენთვის მიჩუქებია; ფრინველზე უსწრაფესია, თუ მცოდნე მხედარი შეხვდა.

ლევანმა მადლობა უძღვნა და სიხარულით გადაჯდა შეენიერ მერანზე, თავისი ცხენი კი იქვე დატოვა. ბევრ სიარულს შემდეგ, კიდევ ერთ კოშკს წააწყდა ლევანი. „ჩემის აზრით, აქ უნდა იყოს ბედნიერება“-ო, გაიფიქრა და სიფრთხილით დააკაკუნა კარებზე. ორი წუთის შემდეგ ჩვენი მხედარი კოშკში იყო და დაკვირვებით მისჩერებოდა შეენიერ ქალს, რომელიც თავით ბოლომდე ძონძებში იყო გახვეული.

— ვინა ბრძანდებით, ყმაწვილო, — ჰკითხა ლევანს ქალმა.

— მე ბედნიერების ძებნელი ვარ, — მიუგო ლევანმა და თითონვე შერცხვა თავის სიტყვისა, რომ ბედნიერების პოვნის ნაცვლათ ასე აერია გზა.

ყმაწვილ ქალს ობოლ მარგალიტებივით ცაღმოსცვივდა ცრემლები.

— გზა აგრევია, ჩემო კარგო! აქ ბედნიერებას რა უნდა, ის ძალიან დაშორებულია აქედან.

ბედნიერების მძებნელი

— თქვენ ვინა ბრძანდებით, შემატყობინეთ, — უთხრა ლევანმა. ქალმა დაძინძილ კაბის კალთით მოიწმინდა ცრემლები და შესაბრალისათ შეხვდა სტუმარს.

— მე, კეთილო სტუმარო, ბედოჯალათის ასული ვარ და სახელათ მეწოდება სისაწყლეს. როგორც ხედავ, სრულიად უარარაოთ ვზივარ ამ ძველ კოშკში და ხვალ აქედანაც კი განმდევნის ჩემი დაუძინებელი მტერი შიმშილი, რომელმაც მთელი სარჩო-საბადებლიდან გაგვცალა.

— ნუ სწუხართ, — ანუგემა ლევანმა, — თქვენ დამწიღდით და ხვალ ვინ ვის განდევნის ენახეთ!

მეორე დილას, მართლაც ურიცხვი შიმშილის ჯარი შემოერტყა სისაწყლეს კოშკს, მაგრამ ლევანმა ყველას ბოლო მოუღო თავისი მახვილით, თვით ჯარის მთავარ-სარდალი ტყვეთ ჩაიგდო ხელში და მთელი საცხოვრებელი მის კანონიერ მემკვიდრეს — სისაწყლეს დაუბრუნა.

— მხნე გმირო, მითხარი, რანაირათ შესძელ ერთმა კაცმა ამდენი ჯარის ამოწყვეტა? — ჰკითხა გახარებულმა ქალმა ლევანს.

— სიმრავლე იქ უღონოა, სადაც სიმართლე არის. ეს ჩემი ნახვილი მხოლოდ უმართლოდ შემოსეულ მტერს ჰმუსრავს, ასე რომ არ ყოფილიყო, მე ვერას გავხდებოდი, თუნდაც გმირთა-გმირი ეყოფილიყავ... ახლა კი დროა ჩემ გზას გავუდგე, — უთხრა ლევანმა და გამოემშვიდობა ქალს, რომელმაც დიდი მადლობა შესწირა და გზა დაულოცა თავის მხსნელს. ლევანი ერთ შვენიერს ბაღს მიაღდა. შორიდანვე დაინახა, რომ ბაღში ძვირფასი ჩუქურთმით ნაგები სასახლე იყო, მაგრამ არაფერ არ მოჩანდა იქ. იფიქრა, „ეს მაინც იქნება ბედნიერების ბინა“ — და თამამათ მიუახლოვდა მარმარილოს გაღაფანს, რომლის მოვარაყებული კარები ღია იყო. ლევანი გადახტა ცხენიდან, გაიარა ბაღი და მათრახის ტარი მიაკაკუნა სახლის კარებზე. გმირს მაშინვე გაუღო კარი შვენიერმა, ხუკუტ-თმიანმა ჭაბუკმა, რომელსაც სწავლა ერქვა და თავზიანათ

შეიპატივა სახლში. დიდ ზალაში, შუა-გულ ადგილას ძვირფას საფარძელში იჯდა მეტათ სანდომიანი მანდილოსანი, რომლის სახეზე უმაგალითო სათნოება იხატებოდა, და გვერდით უჯდა საპატო თეთრ-წვერა მოხუცი. ლევანი მოკრძალებით წარდგა იმათ წინ და მდაბლათ დაუკრა თავი.

— ჩემი სახელი სიბჭმქეა, — უთხრა მანდილოსანმა ლევანს, — ეს ჩემი ქმარი არის, სახელათ ეწოდება ცოდნა.

ლევანი ორივეს ხელზე ეამბორა, ჩამოჯდა იმათ ახლოს და გატაცებით ისმენდა ცოლ-ქმრის სასიამოვნო ბაასს. მასპინძლებმა ბევრი რამ კარგი უთხრეს ლევანს, ბევრი გაუგებარი გააკვირვებინეს და სადილზედაც ისეთის მოწიწებით ექცეოდნენ, თითქო ღირსნი არ იყვნენ იმისი სტუმრობისა; მაგრამ სალამოს კი გამოუცხადეს, ღამეს აქ ვერ გაგათევენებთო. ლევანმა გაკვირვებით შეხედა თავის მასპინძლებს, რომელთაც ასე გულ-უხვათ მიიღეს და ახლა ღამეს აღარ ათევენებდნენ. მანდილოსანმა განაგრძო:

— დიახ, ღამეს ვერ გაგათევენებთ, რადგან არ გვინდა ჩვენის მიზეზით განსაცდელში ჩაყარდე. ხვალ ჩვენ სახლს შემოესევა წყეულ-კუდიანთა გუნდი, რომელთაც თავის დაუძინებელ მტრათ მივაჩნივართ, და ჩვენთან ერთათ მოგკლავენ თქვენც. ჩვენ ყოველთგის ცვდილობთ შეემუხროთ იმათი მანქანება, რადგან ისინი მოთავენი არიან უგუნურება—უაწაელელობის გავრცელებისა და ამიტომაც გვემტერებიან და ამოწყვეტას გვაპირებენ. თუ დაგვძლიეს ბურთი და მოედანი იმათ დარჩებათ და მაშინ მშვიდობით ქვეყნის წარმატებავ! მართალია, ისინი საერთოთ უსუსურნი, სუსტნი არიან, მაგრამ ყოველ ათას წელიწადში ერთ დღეს ისეთი ღონე მიეცემათ, რომ ჩვენი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდა.

— მე არსად არ წავალ! — მტკიცეთ წარმოთქვა ლევანმა, — თქვენთან ერთათ ვიბრძოლებ მეც.

მეორე დღეს კუდიანთა ლაშქარი, ქორ-ძვრათ ქცეული შემოესია სიბჭმქის სახლს, მაგრამ ლევანმა ხელი გაიკრა სიმართლის მა-

ხეილს და ყველანი სისხლის მორევში ააცურა. მტრის ხელიდან გათავისუფლებული მასპინძლები მშობლურის გრძნობით ეხვეოდნენ ახლოგაზდა გმირს და სიყვარულით შეჩერებოდნენ თვალეში.

— თქვენ, როგორც ყველაფრის მცოდნეს, უთუოთ გეცოდინებათ ბედნიერების გზა და მასწავლეთ, — უთხრა ლევანმა მასპინძლებს და წასავლელათ გაემზადა.

— შენ ისეთ გზაზე დგებარ, რომ ადვილათ იპოვნი ბედნიერებას, — მიუგეს ცოლ-ქმარმა, — შენი მერანი თითონვე მიგიყვანს ბედნიერების კარზე.

ლევანი გამოემშვიდობა იმათ და წავიდა. ბევრი, ძალიან ბევრი იარა და მიაღვა ერთ სამ-სართულიან დიდ სახლს. მხედარმა დაუკრთხავათ შეალო კარები და შევიდა, მაგრამ იმის თვალს საოცარი სანახავი წარმოუდგა: შუაგულ დარბაზში დასობილი იყო რკინის დიდი პალო, რომელზედაც რამდენიმე ახლოგაზდა ქალი იყო მიჯაჭვული და ყველა მდულარეს ცრემლით ტიროდა; ერთი მათგანი უფრო ახლოს იყო პალოსთან, დანარჩენები კი გარშემო მოსხდომოდნენ და ყველანი გულ-საკლავათ ქვითინებდნენ.

— ეინა ხართ, ჩემო დებო, რა გატირებთ, ან ეინ მიგჯაჭვათ? — ჰკითხა ლევანმა ქალებს.

— ჩვენ ტყვე ვართ ერთი გულ-ქვა რაინდისა, რომელსაც სს-სწაჭკვეთილება ჰქვიათ სახელათ. ამ ჩვენ უფროს ქალს იმედი ეწოდება, ჩვენ კი ყველას საერთო სახელი — ოცნება გექვიათ. დიდი ხანია ასე მიჯაჭვულები ვართ, მაგრამ ჩვენი მხსნელი არაფერ არის.

ტყვემ ვერც კი მოასწრო ამ სიტყვის დასრულება, რომ ერთი უზარ-მაზარი შავი კაცი შემოვიდა დარბაზში და საზარლათ გადაჰხედა უცნობს. ლევანს თავზარი დასცა იმისმა დანახვამ: მუხლები ვერხვის ფოთოლივით აუკანკალდა, ხელიდან მახვილი გაუვარდა და ღონე მიხდილი საცოდავათ გაიშლართა იატაკზე.

— აღსასრული მოგახლოვებია, ყრმაო! მე ჩემ მტერს ცოც-

ხალს არ გაეუშვებ! — დასძახა თავს უგონოთ მდებარე ლევანს საზარელმა კაცმა და ხელი წაივლო აღმასივით მოელვარე ხმაღზე.

— რას ერჩი, რა დაგიშვია? — წამოიძახა უუროსმა ტყვემ, რომელსაც იმედი ერქვა, — თუნდაც დამნაშავე იყოს, განა შენისთანა რაინდს შეჰფერის, რომ იარაღით მიჰმართოს უიარაღოს, გულ-წასულს? ხომ ხედავ, მახვილი ხელიდან გავარდა, უგონოთ გდია! თუ მტერათ მივაჩნია, აცალე, გონს მოვიდეს, რომ გმირმა გმირულათ შეგებრძოლოს... ამით შენ არა დაგაკლდებარა...

— კარგი, ადგეს და მებრძოლოს! — წამოიძახა შავმა კაცმა და ფეხი წაჰკრა ლევანს. ამ საზარელმა ხმამ გამოარკვია ლევანი; მან გაჭირვებით აიღო მახვილი და მართლმკვეთელმა ბასრმა მარდათ გაიღევა ამაყათ მდგომ რაინდის კისერზე; თავ-მოკვეთილი ლეში გულ-შესაზარათ ტიფ-ტიფობდა თავისსავე სისხლში.

— მადლობა ღმერთს, რომ ამ საშინელის ხელიდან გაგათავისუფლეთ და ჩემი მოვალეობა პირნათლათ შეგასრულო. ახლა კი მშვიდობით, მგონი მიეუახლოვდი ბედნიერებას! — თქვა ლევანმა, ყველას ახსნა ჯაჭვები და კარებს მიჰმართა წასასვლელათ.

— დიახ, ახლოს, ძალიან ახლოს არის ბედნიერება!.. ერთ-ხმათ მიადახეს ქალებმა კარებთან მისულ ლევანს.

გამარჯვებული გმირი მოახტა თავის მერანს და დინჯათ დაადგა ლამაზათ მიკლაკნილ მოკლაკნილ ბილიკს. გზის მარჯვენა მხარეს ამართული იყო უზარ-მაზარი მთა, რომელზედაც მედიდურათ წამომდგარი, ათასურათ მობრწყვიალე კოშკი ამტკიცებდა, რომ იქ იყო სადგომი ბედნიერებისა. მარცხნივ დაფენილი შეენიერი ხეობა, ჭალამინდვრები და ზედ მოჩანჩქარე ანკარა მდინარე ხიბლავდა და ატყვევებდა დაღლილ-დაქანცულ მხედარს. ლევანმა ორსავე მხარეს თვალი გადაავლო ბუნების შეენიერ სურათს; მას მოაგონდა თავისი ბავშობა, საყვარელი სამშობლო, ტყის პირათ მიხვეულ-მოხვეული გზა, თავისი ოჯახი, მოალერსე დედა და ერთი მძიმეთ ამოიხზრა, რომ შორს იყო მათგან.

ბედნიერების მძებნელი

მაგრამ დახეთ საკვირველებას! აგერ, ლევანი კიდევ მიაღვა თავის ეზოს, გადაჰხელა შეენიერთ აყვავებულ ბაღსას, დაინახა თავისი სახლი, აივანზე მჯდომი დედა და ჭაბუკის სახე ღიმილმა მოიცვა.

მთავრის ქერივს დაუბრუნდა თავისი ერთათ-ერთი მემკვიდრე, ოჯახს ეღირსა ნამდვილი გმირი, რომელსაც სისაწყვე, სიბჭმე და იმედი ქებათა ქებას უღალადებდენ მტრის ხელიდან ხსნისათვის, ხოლო აღფრთოვანებულ ოცნებათა გუნდი ციურ ნანინას დაჰლიღინებდა ყელი-ყელ გადაჭლობილ დედაშვილს...

განდკილი.



ზამთარი და ნიბლია.

I.




რთხელ ზამთარს და ნიბლიას
 მოუხდათ შებმა სნიერი,
 აქეთ იბრძოდა უძლური
 იქით კი მეტათ ძლიერი.

ბორცვი, ავ-სნე, საწყალ ჩიტს
 კვალში ჩაუდგა მტრულათა,
 მაგრამ ნიბლიაც ცივ ზამთარს
 ებრძოდა ეშმაკურათა.

რაკი თმა თეთრი, ჭაღარა
 სუსტთან ჯერ ვერას სდებოდა,
 გულ გასასხეთქათ ნიბლიას
 დაცინვით ეკითხებოდა:

— მითხარ, სადღაა დღეს შენი
 მხიარულება გულისა,
 ან ბუდე სეზე ჩადგმული
 ბუძბულის, ჩაღა-ბულისა.

ან ევაფილები გაშლილი,
 ტურფათ მიდამო ველისა,
 დამით გალობა შაშვისა
 რაკრაკი ბუღბუღთ ველისა?



სად გუგანან ამხანაგები
რომ დღეს აღარსად მღერიან...
გადაკარგულან შორს სადღაც
და შიშით შემომცქერიან?..

— ტყვილათ მაშინებ, ზამთარო,
რინიან ბაქი ბუქითა,
ვერას დამაკლებ, ვიდრე მსე
დამეურებს სსივებ-შუქითა.

სულ არ გამქრალა ჩემშია
სიმღერა-მსიარულება,
და ჩემ ტოლ-ამხანაგების
არ მჯერა მოუძღურება.

ჯერ სძინავთ. გაიღვიძებენ
მათი სიმებიც გულისა,
საქებრათ სადიდებელათ
კეკლუცი გაზაფხულისა.

გაზაფხულდება, ბუნება
შემოსავს მთა-ველთ ზღუდესა
და მეც ჩაგვიანწამ ხელ-ახლა
განახლებულსა ბუდესა.

უვაგილნიც გაიძლებიან
ათას-ფრათ მრავალ მხარესა,
ტკბილ სუნელებას მოჭფენენ
მსიარულ არე-მარესა.

კვლავ გადაიბანს ნაზათ ზირს
ია და ვარდი ნაძითა,
და კვლავ შაშვი და ბულბული
მაერულს ჩააბმენ ღაძითა.

— რა ბავშურათა ლიკლიკებ
ვაი საწყვალო ნიბლია,
ბევრ შენისთანა ჩიტისთვის
უინულსე თავი მიგლია.

ტყუილი არი, არ ესმის
კახაფსულს შენი მუდარა,
ხვალ ჩემი თოვლი გახდება
შენი კუბო და სუდარა.

ეს უთხრა ჩიტს და გაძორდა
კასწია, სადღაც წავიდა...
იმ დღეს მართლათაც მზე აღრე
მთებს ჩაეფარა, ჩავიდა.

II.

ოდნავ მოფიფქა მიღამო
ზამთარმა თოვლის ფქვილითა,
შემდეგ ცა მოაკაშკაშა
და მოუეინა დილითა.

მზიურ აბძანდა ზამთარი
გახედა მინდორ-ველებსა,

თეთრათ გაქქონდათ ლაზლანი
სეებს და მთისა წვერებსა.

მრავალი ჩიტი ევარა
მთლათ გაყინული ველათა,
ხოლო ნიბლიას მაკვარი
ერთიც არ იყო მძევლათა.

საღამოს შესვდა სამთარი
ნიბლიას ცოცხალს კვლათა.

—სად იუავ წუსელ, ნიბლიავ?
სამთარმა ჰკითხა მწერლათა.

— წუსელი დედაკაცები
მთელ ღამეს რეცხდენ სარეცხსა;
იქიდან შეკმევერ, შევედი
სიდანაც ღვრიდენ ნარეცხსა.

მივიძალ მივიკუნტევი
მათ შორის ცეცხლა ჰირსსა,
ავდექ და ჩუმათ გამოველ
კარს რო აღებდენ დილსსა.

— მამ კარგი, ახლა, ამდამ
შენ ველარ დამემალები...
მართლაც იმ ღამეს სამთარმა
მოუშვა სუსხის ბრჭყალები.

მიჭყინ მოჭყინა მინდორი
გაჭკვერ, გახაკრიალა,

ისე გაჭხადა ქვეყანა
 როგორც ბურთი და ბზრიალა.

და საწყალ დედაკაცების
 ქვაბებიც სულ მთლათ მიჭყინა;
 მაგრამ იმ ღამეს ნიბლიამ
 აღარ დაიდო იქ ბინა.

— როგორ! გადარჩი? — საძმთარმა
 ჰკითხა მეორე დილასა.

— იქნებ გეკონა წუსელი
 ვერ ვიზოვნოდი ბინასა!

შენ რომ ეინვასთან ისეთქდი
 თავს ჩემი ბინის სწავლაში,
 მე იმ დროს ტუბილათ მეძინა
 ცხენებთან ერთათ თავლაში!

— ცხენებთან! ერთი უუურეთ,
 მე მათ ვუჩვენებ სეირსა,
 იმათთან ერთათ ამაღამ
 არც შენ დაგაური სეირსა.

III.

იმ ღამეს უფრო მოჭყინა
 მოაჭახჭახსა სერები.
 მინდვრათ გასწევიტა ფრინველი,
 თავლა-ბოსელში ცხენები.

მეორე დილას ნიბლია
დასტოდა, დანაყარდობდა,
დაჭიკჭიკობდა, კალობდა,
სრულად არაზე დარდობდა.



— როგორ! კიდევაც დამცინი
შე წუწკო, მოუსვენარო?

მითხარ სად ეგღე წუხელი
სიცოცხლე მოუღსენარო?

შენ რომ თავლაში ჰქინავდი
ბრახობდი, ბობოქრობდი,
ჩახუტულ დედაშვილ-შუა
მე თბილ ლოცინში ვხარობდი.

ისეთი მხურვალე იყო
მათი ალერსი, ტრფიალი,
რომ შენი ენვა და თოვლი
და ქარის მწარე გრიალი
ვერას მიხამდენ, სამთარო,
მე დედაშვილთან სრულათა...
სამთარი ბრახსე სკდებოდა
და იცლებოდა გულათა.

ნიბლიას, მანც სამთარი
ვერ უხერხებდა ვერასა,
ფრთოსანი ეოველ დილ-დილა
მორთავდა სტვენა ძღერასა:

გაზაფხულდება, ევაგილნი
გაიფურჩქნ-გაიძლებიან,
სამთარსა სული გასძვრება,
ენულნი ჩამოდნებიან.

ბუდეს ავიგებ ხეხედა
დავჩეკავ, დავხრდი შვილებსა;

სიძღვრით გამოვაურებთ
ბაღ-ვენახების ჩრდილებსა.

მოფრინდებიან სსვებიცა,
ტოლ-ამხანაგნი, სწორები,
გაივსებიან ფრინვლითა
ტყე, ჭაღა, მინდორ-გორები.

საერთო ფერხულს დაუბამთ
ჩაფუხმატკებილეთ არესა,
ქებათა ქებას შევასხამთ
ცაგ ცას, ვარსკვლავ-მთვარესა.

შევძახებთ ვაშა გასაფხულს,
მსეს და მის ოქროს სხივებსა
და ცას, რომ გვესვრის ნამებსა
ვით მარკალიტის მძივებსა!

უ. მღვიმელი.



კახარა ლორღის თავ-გადასავალი.

II.

ცედრიკის მეგობრები.



თელ ერთ კვირას ვერ მოვიდა ცედრიკი გონზე, იმდენი ახალი შთაბეჭდილება მიიღო ერთათ, ზედი-ზედ; თავი სიზმარში ეგონა, ისე გაკვირვებული იყო ყველა იმითი, რაც დედამ რამდენჯერმე გაუშეორა. ნეტავი რას იტყვის ყველა ამაზე მისტერ გობსი?

საქმე აი რაში იყო: ცედრიკის ბაბუა, რომელიც მას არაოდეს არ ენახა, გრაფ ღორინკორტი იყო; უფროსი ბიძა მისიც, ცხენიდან რომ არ ჩამოვარდნილიყო და არ მომკვდარიყო—გრაფი გახდებოდა; მის სიკვდილს მერე—გრაფობა უნცროს ბიძას მოელოდა, მაგრამ ის ცხელებამ იმსხვერპლა რომში; მათ შემდეგ გრაფობა ცედრიკის მამას უნდა გადმოცემოდა,

მაგრამ ეროლ-ც აღარ იყო ცოცხალი და ახლა ბაბუას სიმდიდრის ერთათ ერთ მემკვიდრეთ პატარა ცედრიკი ხდებოდა. ბაბუას სიკვდილს შემდეგ ის გრაფ ღორინკორტი გახდება, მანამდის კი—ლორდ ფაუნტლროი ერქმევა.

ცედრიკი გაფითრდა, ყველა ეს რომ გაიგო.

—ძვირფასო, —წამოიძახა მან.—მე გრაფობა არ მინდა! არც

პატარა ლორდი

ერთი ჩემი ამხანაგი არ არის გრაფი! არ შეიძლება რომ უარი ეთქვა?

მაგრამ ეს შეუძლებელი იყო.

იმ შესანიშნავი დღის საღამოს ბავში იჯდა ფანჯარასთან, უყურებდა ვიწრო, უსწორ-მასწორო ქუჩას ჭ დედას ესაუბრებოდა. ალღევებულ სახეზე აღმური ეკიდებოდა. ის კაცი ბაბუამ თურმე მის წასაყვანათ გამოგზავნა და დედა ეუბნება, ინგლისში უნდა წახვიდეო!

—მამა შენი რომ ცოცხალი იყოს, ისიც ამას გეტყვოდა!—თქვა ახალგაზდა ქალმა და მწუხარეთ შეხედა ვაჟს. —იმას უყვარდა თავისი სამშობლო... რატომ არ ცხოვრებდა იქ—ახლა ვერ აგისხნი, შენ ჯერ პატარა ხარ, ვერ გაიგებ. უსათუოთ—კი უნდა წახვიდე. როცა გაიზდები, ყველაფერს გაიგებ.

ცედრიკმა მწუხარეთ გააქნია თავი.

—მერე მისტერ გობსს რომ მოვცილდები? მოსწყინდება ხომ უჩემოთ! მეც მომწყინდება უიმისოთ! ყველას მოშორება მენანება!..

მეორე დილას მისტერ ხევიშამი, გრაფ დორინკორტის მოურავი, ისევ მოვიდა და ბევრი რამ უამბო ბავშს, აუხსნა, რომ ინგლისში ის ძალიან მდიდარი გახდება, ბევრი კოშკები, ბაღები, მინდვრები და სასახლეები ექნება, ყოველი სურვილი აუსრულოდება. მაგრამ ყველა ეს ვერ ანუეგშებდა ბავშს. ის სულ თავის მეგობარ, გობსზე ფიქრობდა და ნასაუზმევს სწრაფათ გაიქცა მის დუქნისკენ. გობსი გაზეთების კითხვაში იყო გართული; ალღევებული ბავში წელა მიუახლოვდა, გრძნობდა, რომ თავის სიტყვებით საშინლათ აწყვენება გობსს...

—ჰო, ჰო! გამარჯობა!—მხიარულათ მიეგება გობსი თავის პატარა მეგობარს.

—გაგმარჯოსთ! უპასუხა ცედრიკმა და წყნარათ დაჯდა სუბურების პატარა ყუთზე. უწინდელივით მაღალ სკამზე შესკუპება ველარ

გაბედა. რამდენსამე ხანს ორივე მეგობარი ხმა ამოუღებლათ უყუ-
რებდენ ერთმანეთს.

ცედრიკმა მოიკრიფა მთელი თავის ძალ-ღონე.

—მისტერ გობს!—დაიწყო ბოლოს მან.—გახსოვსთ, რაც გუ-
შინ დილას თქვით?

—მგონია ინგლისზე ვლავარაკობდით. მერე რა?—ჰკითხა მან.

—არა, ის გახსოვსთ, მერი რომ მოვიდა, იმ დროს რას ამ-
ბობდით?

გობსმა თავი მოიფხანა.

—მგონი ინგლისის დიდკაცობაზე ვლავარაკობდით.

—ჰო,—წყნარათ დამოწმა ცედრიკი—ლორდებზე და მარკი-
ზებზე, გახსოვსთ?

—როგორ არა, იმათ მგონი ცოტა მოხვდათ ჩვენგან.

ცედრიკი გაწითლდა. ამისთანა გაჭირვებულ მდგომარეობაში
არასოდეს არ უგრძენია თავი.

—თქვენ ამბობდით, რომ არც ერთ მათგანს ნებას ან მისცემ-
დით თქვენ ყუთებზე დაჯდომისას.

—დიახაც! ამაყათ უპასუხა გობსმა.—აბა ერთი შინჯონ!

—მისტერ გობს! თქვენ სუხრების ყუთზე—ლორდი ზის!

გობსი გაკვირვებისაგან შეხტა.

—რა თქვით?—წამოიძახა მან.

—ჰო,—გაიმეორა ცედრიკმა.—მე ლორდი ვარ და ერთ დროს
გრაფი ვიქნები. არ მინდა, დაგიმალოთ ეს ამბავი.

გობსს შეეშინდა. ის წამოხტა და ტერმომეტრს დახედა.

უთუოთ სიცხემ გაწყინათ.—თქვა მან ბოლოს, მიუახლოვდა
ბავშს და შუბლზე ხელი მიადგა.—დღეს ძალიან ცხელა. თავი ხომ
არა გტკივთ? როგორ გუნებაზე ხართ?

—მადლობელი ვარ,—უპასუხა ცედრიკმა.—მე სრულებით კარ-
ვით ვარ. რაც გითხარით, ყველაფერი მართალია. მერიმ გუშინ იმი-
ტომ წამიყვანა, რომ ჩვენსა ბაბუას მოურავი მისტერ ხევიშამი იჯდა.



გობსი ჩაჯდა საფარძელში და შუბლზე ოფლი მოიწმინდა.

— ერთი ჩვენგანი ჭკუაზე შეიშალა! — თქვა მან ბოლოს.

— არა, არა! — გააწყვეტინა ცედრიკმა, — ხეიშამი ჩემ წასაყენათ ჩამოვიდა ინგლისიდან, ბაბუამ გამოგზავნა...

გობსი გაშტერებული მისჩერებოდა ბავშვის უმანკო, ჭკვიან სახეს.

— ეინ არის თქვენი ბაბუა?

ცედრიკმა ჯიბიდან ქალაღი ამოიღო. ზედ ბავშვის ხელით რაღაც ეწერა.

— ისე ვერ დავიმახსოვრე და აქ დავწერე და მან ხმა-მაღლა წაიკითხა: „ჯონ-არტურ, მოლივე-ეროლ, გრაფ დორინკორტი“. ეს ბაბუას სახელია; ის სასახლეში დგას. სამი თუ ოთხი სასახლე აქვს.

მამა ჩემი მისი უნცროსი შვილი იყო. მამა რომ ცოცხალი ყოფილიყო, მე არც ლორდი ვიქნებოდი და არც გრაფი. ვერც მამა ჩემი გახდებოდა გრაფათ, მისი უფროსი ძმები რომ არ მომკვდარიყვნენ. მაგრამ ორივე მოკვდა და ჩვენ ოჯახში ჩემს მეტი ვაჟი აღარ არის. აი, ამიტომ მომიკითხა ბაბუამ.

გობსი სულ უფრო წითლდებოდა. ის მიხვდა, რომ მართლაც მომხდარიყო. მაგრამ ბავშს შეხვდა, დაინახა, რომ ის ჩვეულებრივად ყუთზე იჯდა, ჩვეულებრივად ლამაზი და უბრალოდ ჩამული იყო, ჩვეულებრივად მიეპყრო მისთვის თავისი უმანკო თვალები და სულ დაიბნა. აღარ იცოდა, რა ეთქვა, როგორ წარმოედგინა ინგლისის დიდკაცობა.

— როგორ თქვით? გაიმეორეთ, რა გქვიათ ახლა!—ჰკითხა გობსმა.

— ცედრიკ ეროლ, ლორდ ფაუნტელროი. მისტერ ხევიშამი ასე მესახის. მაშინ რომ შევედი ოთახში, ასე თქვა: „მაშ ეს არის პატარა ლორდი ფაუნტელროიო?“

— ჰმ!—წაიდუღუნა გობსმა. საკვირველება!

ის ყოველთვის ამ სიტყვას ხმარობდა, როცა ძალიან გაკვირვებული, ან აღელვებული იყო. ცედრიკის აზრით ეს ძალიან კარგი სიტყვა იყო. იმას ისე უყვარდა გობსი და ისეთ პატივს სცემდა მას, რომ ყოველი მისი ნათქვამი მოსწონდა.

ბავშმა დაკვირვებით შეხვდა გობსს.

— შორს არის აქედან ინგლისი?—ჰკითხა მან.

— ატლანტიის ოკეანის იქით არის,—უპასუხა გობსმა.

— შორს ყოფილა. უთუოთ დიდხანს ველარ გნახავთ, მისტერ გობს. ეს ძალიან მწყინს.

— საუკეთესო მეგობრები ვცილდებით ერთმანეთს.—წყენით წარმოთქვა გობსმა.

— ჩვენ ხომ დიდი ხნის მეგობრები ვართ?—ჰკითხა ცედრიკმა.

— თითქმის თქვენი დაბადებიდან. ექვსი თვისა იქნებოდით, პირველათ რომ გამოგვიყვანესთ ამ ქუჩაზე.

— აჰ! — ამოიხენევა ცედრიკმა. — რას ვიფიქრებდი მაშინ, რომ გრაფი გავხდებოდი!

— როგორ ფიქრობთ? — ჰკითხა გობსმა. — არ შეიძლება რამენაირათ სხვათაგან დატრიალდეს საქმე?

— არა მგონია. დედა ამბობს, მამა შენი ასე მოინდომებდაო. ერთი რამ შემიძლია მხოლოდ: თუ უსათუოთ საქირთა, რომ გრაფი ვიყო, მე ვეცდები, კარგი გრაფი გავხდე. მე ავი არ ვიქნები; თუ ინგლისსა და ამერიკას შორის ომი ატყდა, მე ამ ომის წინააღმდეგი ვიქნები.

საუბარი დიდხანს გაგრძელდა. გობსი ცოტ-ცოტა მოღბა; ის ცდილობდა, შერიგებოდა ცედრიკის ახალ მდგომარეობას და ბევრ სხვა-და-სხვა რამეს ჰკითხავდა ბავშს მარკიზების და ლორდების შესახებ, მაგრამ რადგან პატარა ლორდმა არა იცოდა-რა, ის ისევ თითონ უპასუხებდა თავის-თავს და ამნაირათ აუხსნა ბავშს მათ შესახებ ბევრი ისეთი რამ, რაც ძალიან გააკვირვებდა თვით მისტერ ხევიშამსაც.

მისტერ ხევიშამი მაინც ბევრა რამეთი იყო გაკვირებული ამერიკაში. ის თავის დღეში არ მოსცილებია ინგლისს, ორმოცი წელიწადი იყო გრაფ დორინკორტის მოურავათ, კარგათ ჰქონდა შესწავლილი მისი აურაცხელი სიმდიდრე და უნდოდა ენახა ის პატარა ბავში, რომელიც მთელი ამ სიმდიდრის მემკვიდრე ხდებოდა. იმან იცოდა, რანაირათ გულ-აცრუებული იყო დორინკორტი უფროს ვაჟებზე, იცოდა, როგორ გაფიცნდა ის ეროლის ცოლის შერთვა რომ გაიგო, ისიც იცოდა, რომ მოხუც გრაფს აქამდისაც სძულდა ახლგაზნდა ქვრივი, თავისი რძალი, და ფულის გულისთვის გათხოვებას სწამებდა მას. მოურავსაც ეგონა, რომ ეს მართალი იყო, ისიც ვერ იყო კარგი აზრისა ამერიკელებზე. როცა გამოიარა ეტლით ვიწრო ქუჩაზე და პატარა სახლის წინ ჩამოხტა, საშინლათ გაკვირდა. ვერ წათმოედგინა, რომ სამი სასახლის მემკვიდრე დაიბადა და

გაიზარდა ამ ღარიბ სახლში, ამ ვიწრო ქუჩაზე, რომლის კუთხე-შიაც საეაჭრო დუქანი ჩნდა.

— ნეტავი როგორია ეს ბავში? — გაიფიქრა მან. — როგორია მისი დედაც?

მისტერ ხევიშამს კიდევ ეშინოდა მათი გაცნობის. ის ამაყობდა დიდებული ოჯახით, რომლის მოურავათაც იყო ამდენ ხანს და გული უკვდებოდა, ამ ოჯახის რძალს რომ წარმოიდგენდა თვალწინ: უსწავლელს, ფულის-მოყვარეს, უბატონოსს...

მერიმ რომ პატარა სასტუმროში შეიყვანა, იმან იქვის თვალით მიიხედ-მოიხედა; ყველაფერი უბრალოთ, მაგრამ ღამაზათ იყო მოწყობილი, მთელ ოთახს სასიამოვნო შეხედულება ჰქონდა.

— არა უშავს-რა — გაიფიქრა ხევიშამმა. ეს უთუოთ კაბიტან ეროლის გემოვნებაა. მაგრამ, როცა ქალბატონი ეროლი შემოვიდა ოთახში, ხევიშამმა ძლიერ შეიკავა თავი და კინალამ არ გამოამჟღავნა თავის გაკვირება. უბრალოთ, მაგრამ კონტათ შეკერილი შავი კაბა ძალიან აშვენებდა ახალგაზდა ქალს, რომელიც უფრო ქალიშვილს ჰკავდა, ვიდრე შვიდი წლის ვაჟის დედას. ქალი ძალიან ღამაზი იყო; მის ნაზ ფერ-მკრთალ სახეს და დიდ თვალებს მწუხარების ბეჭედი ესვა, ეტყობოდა, ქმრის სიკვდილს აღვილათ არ ჩაეგლო მისთვის. გამოცდილი მოურავი უცებ გამოიცნობდა ხოლმე ადამიანის ხასიათს, მან მაშინვე იფიქრა, გრაფ დორინკორტი შემცდარია თავის რძლის შესახებო. მიხედა და დარწმუნდა, რომ ეს ახალგაზდა, ღამაზი ქალი ფულის გულისთვის არ გათხოვდებოდა, რომ ის არაოდეს არ ეცდებოდა, გრაფის ნათესავი გამხდარიყო და იმედი მიეცა, პატარა ლორდი ფაუნტელროი არ შეარცხენს თავის ოჯახსო.

მან აუხსნა ქალბატონ ეროლს თავის მოსვლის მიზანი: ახალგაზდა ქალი გაუითრდა.

— ნუ თუ წამართმევენ ჩემ ვაჟს? — წამოიძახა მან. — ჩვენ ისე

პატარა ლორდი

გვიყვარს ერთმანეთი! იმის მეტი მე არა გამაჩნია-რა ქვეყანაზე! ვცდი-
ლობდი, კარგი დედობა გამეწია მისთვის...

ხმა უკანკალებდა, თვლებში ცრემლები უბრწყინავდა.

— თქვენ არ იცით, რა ძვირფასია ის ჩემთვის! — თქვა მან ბო-
ლოს.

ხევიშამმა ჩაახველა.

— უნდა მოგახსენოთ, — დაიწყო მან, — რომ გრაფ დორინკორ-
ტი მაინც და მაინც არ გწყალობსთ. მას არაოდეს არ ყვარებია
ამერიკა და ამერიკელები, ცოლის შერთვისთვის ძალიან უჯავრდე-
ბოდა შეიღს. ძალიან ეწუხვარ, მაგრამ გამოტეხილათ უნდა გითხ-
რათ, რომ მას თქვენი ნახვა არ უნდა; ლორდ ფაუნტელროის გაზ-
და კი თავისთან გადაწყვეტილი აქვს. თავის სასახლე დორინკორტი
ძალიან უყვარს და სულ იქ ცხოვრებს; ფეხები სტაკია, ამიტომ
ლონდონში არაოდეს არ დადის. ლორდ ფაუნტელროიც დორინ-
კორტში იცხოვრებს, თქვენ საცხოვრებლათ კი გრაფმა მეორე მამუ-
ლი და სასახლე დანიშნა. ლორდ ფაუნტელროის ნება ექნება თქვენ
გნახოსთ ხოლმე, თქვენ კი — არაოდეს არ უნდა დადგათ ფეხი დო-
რინკორტში. ხომ ხედავთ, რომ შეიღს სრულებით არ გაშორებენ.
ეს პირობები არ არის ისე სასტიკი, როგორც თქვენ შეგეძლოთ
წარმოგედგინათ. ლორდ ფაუნტელროი შევნიერი ნასწავლი და ძა-
ლიან მდიდარი კაცი გამოვა.

ხევიშამს ეშინოდა, ახალგაზდა ქალი ტირილს დაიწყებო. ქა-
ლის ცრემლის დანახვისთანათ არაფერი სძულდა. მაგრამ შიში ტყუი-
ლი იყო; ქალბატონი ეროლი წამოდგა, მივიდა ფანჯარასთან და
სარკმელს მიეყრდნო. ხევიშამი ხედავდა, რომ ის მწუხარებას ებრძო-
და; ბოლოს მიუბრუნდა მოურავს და წყნარათ უთხრა:

— საცოდავ ჩემ ქმარს ძალიან უყვარდა სასახლე დორინკორ-
ტი, უყვარდა ინგლისი და ყველაფერი ინგლისური. ძალიან ეძნელე-
ბოდა სამშობლოს მოშორება, ამაყობდა იმითიც და თავისი სახე-

ლითაც. ის მოინდომებდა, რომ მის შვილს ენახა სამშობლო სახელი და თავის გვარის შესაფერი აღზრდა მიეღო...

ის მიუახლოვდა ხევიშამს, შეხედა თავისი მწუხარე თვალებით და განაგრძო:

— ჩემი ქმარი მოინდომებდა — და მეც ასე მოვიქცევი. მე ვფიქრობ, რომ ჩემი ვაჟისთვის ასე ჯობს. დარწმუნებული ვარ, გრაფი ისე ავი არ იქნება, რომ ჩემ შვილს ჩემი ცუდი გააგონოს; მაგრამ ასეც რომ იყოს, ბავში ისე გავს თავის მამას, რომ ვერაფერი გლახა ვერ იქონიებს იმაზე გავლენას. მას მოსიყვარულე გული და პატიოსანი სული აქვს. როცა დაგვაშორებენ, ის არ დამივიწყებს, და თუ იშვიათათ მაინც ენახავ მას, მე აღარ ჩავთვლი ჩემ თავს სრულ უბედურათ...

— თავის თავზე არც კი არას ამბობს! — გაიფიქრა მოურავმა. — თავის შესახებ არაფერ პირობებს არ მადებინებს.

— ქალბატონო ეროლ! — თქვა მან. — მე პატივს ვცემ თქვენ გრძნობას. თქვენი შვილიც დაგიმადლებსთ, როცა დრო იქნება. გარწმუნებთ, რომ შეენიერათ აღზრდიან და მაგის ბედნიერებისათვის გრაფი არას დაიშურებს.

— იმედი მაქვს, — მწუხარეთ უპასუხა ახალგაზდა დედამ, — რომ ბაბუა შეიყვარებს ცედრიკს, მას კეთილი გული აქვს და აქამდის ყველას უყვარდა.

ხევიშამმა ისევ ჩაახველა. მას ვერ წარმოედგინა, რომ მოხუც გულ-ფიცვს გრაფს ვისიმე შეყვარება შეძლებოდა.

— მერწმუნეთ, ლორდ ფაუნტელროი ბედნიერი იქნება. მაგის ბედნიერებისათვის მოინდომა გრაფმა, რომ თქვენ ახლოს იცხოვროთ და ნახათ ხოლმე თქვენი შვილი.

მან ვერ გაბედა გრაფის ნამდვილი სიტყვების გამეორება, ისინი მაინც და მაინც ზრდილობიანი არ იყვენ, — და მისი ნათქვამი ცოტა გადასხეაფერებით გადმოსცა ახალგაზდა ქვრივს.

პატარა ლორდი

ცოტა ხანს იქით ქალბატონმა ეროლმა უბძანა მერის ბავშვის მოყვანა. ხევიშამი შეკრთა, როცა მერიმ უპასუხა:

— ის ძნელი სანახავი არ არის. უთუოთ გობსის დუქანში ზის მაღალ სკამზე და პოლიტიკაზე ლაპარაკობს მასთან.

— მისტერ გობსი ჩემ შეილს დაბადებიდან იცნობს და ძალიან მეგობრებიც არიან. — აუხსნა ახალგაზდა ქალმა მოურავს.

ხევიშამი ისევ შეძრწუნდა. ინგლისში კეთილ-შობილი ბავშები არ უმეგობრდებიან მედუქნეებს, ცოტა არ იყოს, ეუცხოვა ეს ამბავი. ვერაფერი შეილი იქნება, თუ ბავში უშნო და გაუზღველი გამოდგა, თუ ის დაბალ საზოგადოებაში ყოფნას არის შეჩვეული. მოხუც გრაფს ისედაც ბევრი უსიამოვნობა დაატყდა თავს მისი უფროსი შვილების წყალობით, რომლებსაც სულ დაბალ საზოგადოებაში ტრიალი უყვარდათ. ნუ თუ ბავშიც ბიძებს დემსგავსა?

ეს ფიქრები ძალიან აშფოთებდნენ მოხუც მოურავს, როდესაც უეცრათ კარი გაიღო და ცვერიკი შემოვიდა. ადვლევებულმა ხევიშამმა თვალები ძირს დახარა; როდესაც თავი აიღო ზ პირდაპირ შეხედა ბავშს, უეცარი ცვლილება იგრძნო თავის ფიქრებში; პირველ შეხედვანვე მოჰხიბლა მოურავი შევნიერმა პატარა ბავშმა. ის მაღალი, ლამაზი ტანადი, კობტა ყმაწილი იყო. თავი ამაყათ ეჭირა, შევნიერი, ცოცხალი და მეტყველი სახე ჰქონდა; ხუჭუჭი თმა მამასავეით ოქროს ფერი ჰქონდა, დიდი თვალები დედისავეით თაფლის ფერი, მაგრამ დედა მისის თვალებში მწუხარება და ტანჯვა გამოიხატებოდა, ამას კი — ცოცხალი, სწრაფი თვალები ჰქონდა, რომელთაც არაფრისა არ ეშინოდათ და არაეის არ ერიდებოდნენ.

— ასეთი ლამაზი და კეთილ-შობილური შეხედულების ბავში არც კი მინახავს! — იფიქრა ხევიშამმა, მაგრამ ხმა მაღლა მარტო ეს თქვა:

— მაშ ეს არის პატარა ლორდი ფაუნტელროი?

რაც უფრო აჩერდებოდა მოურავი პატარა ლორდს, მით უფრო და უფრო ჰკვირდებოდა. მას ბევრი ბავშები ენახა ინგლისში,

ლამაზები, წითელ ლოყებიანი, კარგათ გაზდილები, მაგრამ ყველა ისინი ან მეტის-მეტი მორიდებული იყვენ, ან ნამეტანი ცელქები; მოურავი სიამოვნებით აღევნებდა თვალს ცედრიკს.

ცედრიკს ისე ეჭირა თავი, როგორც ყოველთვის, ის მიუხელოვდა ხევიშამს, ჩამოართვა ხელი და თავისუფლათ უპასუხა ყველა კითხვებზე. როცა ხევიშამი დედა მისს ელაპარაკებოდა, ის გაჩუმებული გულმოდგინეთ, დიდსავეით, აღევნებდა ყურს საუბარს.

— მგონია, ძალიან დინჯია თქვენი ვაჟი! — შენიშნა ხევიშამმა ახალგაზდა ქერიეს.

— კი, ხან და ხან! ღიმილით უპასუხა დედამ. — კარგათ სწავლობს, ხშირათ არის დიდებთან; სასაცილო ჩვეულებაა აქვს: ხან და ხან წიგნიდან ამოკითხულ ან დიდებისაგან გაგონილ სიტყვებს ხმარობს ხოლმე. მაგრამ ცედრიკს თავის ამხანაგებში თამაშიც უყვარს. მე მგონია, ეგ ჭკვიანია, თუცა ჯერ სრულებით ბავშია.

ხევიშამი მალე დარწმუნდა, რომ ახალგაზდა ქალი მართალი იყო. ის მეორე დღეს ეტლით მიდიოდა ლორდ ფაუნტელროის საწინააღმდეგეთ; ამ დროს თვალი მოჰკრა ბავშვების ჯგუფს, რომლებიც გატაცებით თამაშობდნენ. ორი პატარა ვაჟი გაქცევაში უნდა დაჯიბრებულიყვნენ. ერთი მათგანი — პატარა ლორდი იყო; ის თითქმის ყველაზე მეტს ყვიროდა და ხმაურობდა.

— ერთი! ორი! სამი! — დაიძახა მან, როცა გასაქცევათ მოემზადა.

ხევიშამმა უბძანა მეეტლეს ეტლი ნელა გაეტარებინა და ცნობის მოყვარეობით დაიწყო ფანჯარაში ყურება; „სამი“-ს დაძახება და ბავშვების გაქანება ერთი იყო. ცედრიკის წითელ წინდებიანი ფეხები ძლიერსა ჩანდნენ, ხელები მაგრათ მოეკუმა, თავი უკან გადაეწია, ოქროს ფერი თმა სრულებით გაწეწოდა.

— ვაშა, ცედი ეროლ! — ყვიროდნენ მისი ამხანაგები. — ვაშა ბილი ვილიამ! ვაშა! ვაშა!



— უთუოთ აჯობებს! — გაიფიქრა ხევიშამმა, როცა შენიშნა, რომ წითელწინდებიანი ფეხები დაუღალავათ მისწრაფოდენ წინ, ბილი ვილიამი კი ძლივს და ახერხებდა უკან არ ჩამორჩენილიყო. — სწორეთ ძალიან მინდა, რომ აჯობოს!

მოთამაშე ბავშვების ხმა-მაღლა ყვირილმა მალე გააგებინა მოუჩრავს, რომ მომავალმა გრაფმა უკანასკნელი ნახტომით მიალწია დანიშნულ ადგილს და ორი წუთით მიასწრო ბილი ვილიამს სვეტზე ხელის მიკარება.

— ვაშა, ვაშა, ვაშა, ცედრიკ! — ჰყვიროდენ ბავშვები. — ვაშა, ცედი ეროლ!


ხევიშამმაც ველარ მოითმინა, გამოჰყო თავი ეტლიდან და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შესძახა:

— ვაშა, ლორდ ფაუნტელროი!

ეტლი პატარა სახლის წინ გაჩერდა; ცედრიკი, ბილი და ყველა დანარჩენი ბავშვებიც მოახლოვდნენ. ცედრიკი ბილის გვერდში მოდიოდა და როგორც შეეძლო, ანუგეშებდა გულდაწყვეტილ მეგობარს:

— მე მიტომ გაჯობე, რომ შენზე გძელი ფეხები მაქვს, მართო მიტომ. და ამას გარდა, მე ხომ სამი დღით უფროსი ვარ შენზე! სამი დღე ხუმრობა ნუ კი გგონია!

კ—კო.



საკვირველებანი გუნაგისა.

3.



ღამის შეწიერება.—ილაზა (La Belle de-Nuit).

ინათლე სინარულია, სიამოვნება ეკვლასათვის და, რასაკვირველია, მცენარეებისა და ვეგვილებისათვისაც.

ამოანათებს თუ არა დილის მზის სხივი და გაუდიმებს ბუნებას, შესცივნებენ მას სინარულით მცენარეებიც და

გაჭმართავენ ღვინსა და მსიარულებას: ეველა ჯორთის, ტოკავს, იზმორება; ეველას შრო ედება, ფერი ეძლევა, ეღვარება ემატება; ერკვევიან მილს ნელ-ნელა, ბოლოს სრულიად იფურჩქნებიან და ჭფენენ თავის გარეშემო სა-მოთის სუნნელებას. ამ სუნნელებას ეტანებიან ეველა მხრიდან მათსაებ ლამაზი ჭრელი ჰეჭელები და თვალ-მარგალიტივით მოეღვარე მწერები; ერკვევიან ბზუილითა და კალობით და ეწაფებიან მის სიტკბოებას.

მაგრამ გადისრის დღე, იკლებს სინათლე, დადგება საღამო და ვეგვილებიც ათავებენ დღესასწაულს, ახლა ეველა ემზადება დასასვენებლათ, ეველანი იძინებენ. იცო-

დე, ამ დროს რომ ბადში გაიარო, სმაურობა არ დაიწყო, — ლამაზ ვვაგილებს გაეღვიძებათ, შეკრთებიან.

ასეა ეველა მცენარე, ასეთია ბუნების კანონი, მაგრამ ამ ბუნების კანონს არ ემორჩილება ერთი ვვაგილი. ეს არის უცხო, ფრიაღ ლამაზი და სასელოთ ღამის შვენიერება ეწოდება. როცა სხვა ვვაგილები ემსადებიან დასაძინებლათ, ის მაშინ ერკვევა ძილსაცან; როცა სხვები იბურებინ, ის მაშინ იფურჩქნება; როცა სხვებს სძინავთ, ის მაშინ არის ღზინსა და მსიარულებაში.

ეს ვვაგილი მოიტანეს ჰირველათ ჰერუს ქვენიდან ისპანიაში ამ სამასი წლის წინათ. ვინც ნახა, ეველას გაუკვირდა ეს, მართლაც-და, საკვირველია, ვვაგილი რომელიც თითქოს ნახსუბარია მხესთან და შემომწერალიო. დარქვეს მას სასელი ჰერუს სასწაული, მსოლოთ შემდეგში ჟიურემ შეუცვალა მას სასელი და უწოდა ღამის შვენიერება.

და ეს სასელი სწორეთ ზედ-გამოჭრილია იბაზე; ვინაც კი ერთხელ მოუკრავს თვალი მის სუნელოვან თეთრათ, წითლათ ანუ ვვითლათ გადაშლილ ვვაგილის კვირკვინისათვის, ეველა იტყვის, რომ ეს ნამდვილი ღამის შვენიერებააო.

რამწამს რიჟრაჟი განდება ცაში, ეს საკვირველი ვვაგილიც დაიხრება და დაიბურება; დაუჭენება შტოები და დაეშვება მკვდარსავით. მისი ღრმა ძილი გრძელდება მსოლოთ ერთი დღე, სანამ ცხოვრების მომნიჭებელი მზე ბრძანებლობს ცაში. მაგრამ გადახრება თუ არა დღე და წამოვა ბინდი, ჰერუსის სასწაული მოჭევება თრთოლას,

ტოკვას, იუხისლებს ნელ-ნელა, იფურჩენება და ბოლოს სრულიად გადიშლება და გაუდიმებს ვარსკვლავების ციმციმსა და ღამის საიდუმლო მუდროებს.

არც სრულიად მწერბლათ არის ეს ევაგილი სინათლესთან; ის არ არის ნახსუბარი მხესთან; იმას მხოლოდ ვერიდება მისი ძლიერი სხივებისა და ვერ იტანს იმ დიდ სინათლეს, ჭკნება და უძლურდება.

ის არ ნატრობს წევდიადსა და კუმეტ ღამეს, რომელიც მტერია ეოველგვარი სიცოცხლისა; ის ეტროფის და ეალერსება იმ მშვიდ ღამეებს თბილი ქვეყნისას, როდესაც ლურჯი ცა მოჭედლია მერთალის ვარსკვლავებით.

ამ ღამის შვენეობას აქვს თავისი ისტორია, რომელსაც ზღაპრით მოუთხრობენ იმის ქვეყანაში.

საწყალი ბნელი ღამე, შემოსილი ძაძით, შეევედრა ერთხელ შემოქმედს და თხოვა:

„შენ ეოველივე ძიანიჭე დღეს: მოძრობა, სიცოცხლე, ჭიკჭიკი ფრინველთა, ბსუილი მწერთა, ფერადობა და სუნნელება ევაგილთა.

„როდესაც მე ამოვდივარ ქვეყნათ, ქვეყანა უკვე მკვდარია და მეფობა ჩემი თავდება სწორეთ ძაძინ, როდესაც იგი ცოცხლდება. დღემ მიიღო ეველაფერი და ჩემ ბედობაზე კი ერთი ევაგილიც არ მოიპოება, რომ მისი ხილვითა და სუნნელებით ვნუკეშობდეო“.

— საწყალო ღამე! სწორეთ რომ შესაბრაღისი სა-რო! და მის შავს სამოსელს ძიანიჭა სამკაულათ ეს ევაგილი — ღამის შვენეობა.

ჯემს გარფილდის ცხოვრება.



აწერილებით ჩვენ აქ არ გამოუყუდებოდა იმას, თუ როგორ დაამთავრა გარფილდმა მეორე სამოსწავლო წელიწადი სემენარიაში, როგორ მიიღო შემდეგ ზამთარს მასწავლებლის ადგილი სხვა ოლქში, სადაც 16 დოლლარს აძლევდნ თვეში. ეს სკოლა ყოველი მხრით პირველზე უკეთესი გამოდგა. აქ სულ შეძლებული ოჯახის შვილები სწავლობდნ, ასე რომ მასწავლებლისათვის აქ ყოფნა გაცილებით უფრო სასარგებლო და სასიამოვნო იყო, ვიდრე ლეჯში. ხალხაც მეტა იყო ამ მხარეში, ვიდრე ოგოში.

გარფილდმა აქაც ისე კარგათ დაიჭირა თავი, როგორც თავის სამშობლო ტყეში. ბავშვმა და მშობლებმაც ძლიერ მალე დააფასეს იგი და შეიყვარეს. ერთმა უფროს მოწაფეთაკანმა გეომეტრიის კერძოთ შესწავლა მოისურვა და თხოვა ჯემსს — მასწავლეო. გარფილდმა არ შეამჩნევინა მოსწავლეს, რომ თვითონაც სუსტი იყო ამ საგანში, იყდა კარგი სახელმძღვანელო, და რამდენიმე დღის განმავლობაში კარგათ შეისწავლა, და მოსწავლემ ვერ შეამჩნია, რომ თვით მასწავლებლისთვისაც ეს მეცნიერება სრულიად ახალი იყო.

შემდეგში გარფილდს, უკვე გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, არა ერთხელ უთქვამს: როდესაც სემენარიაში კაცი იკისრებს რიგზე საქმეს, უთუოთ მეტა ცოდნა უნდა ჰქონდეს, ვიდრე საქმის რიგთანაა წაქეპა მოცინოსო. მხოლოდ მაშინ შეუძლია თამამათ თქვას — ამ საქმეს კეთილათ დაემათავრებო.

გარფილდი წიგნებზე იყო გადაყოლილი და ჩაცმა-დანურვაზე სულ არ ზრუნავდა. რაც ჰქონდა უწინ ტანისამოსი — იმას არა მომატებია: არა ჰქონდა არც თბილი სერთუკი, არც საზაფხულო პალ-

ტო; აი რა უყო მას ერთხელ მისმა მეტათ დაძველებულმა ტანისამოსმა: ერთხელ თამაშობის დროს სირბილში მისი შალვარი რაღაცას წამოედგა და გაიხა; ჯემსმა უცბათ დაიბნია ქინძისთაგებით გახეული და ამნაირათ აიცდინა თავიდან ბავშვების დაცინვა, დაბრუნდა თუ არა შინ, უამბო თავისი უბედურება დიასახლისს, პატიოსან მოხუცს, რომელსაც ჯემსი შვილივით უყვარდა. გამოსაცვალი ტანისამოსი არ ჰქონდა და რა ექნა, არ იცოდა.

—რა გაწუხებსთ! დამშვიდა მოხუცმა.—დაწეკით და დაიძინეთ; მე ერთ-ორ საათს დაეჯდები და ისე გავკერავ, რომ არც კი აჩნდეს, სად იყო გახეული.

გათავდა თუ არა სკოლაში საზამთრო კურსი, ჯემსი დაბრუნდა შინ.

XIX.

გარფილდს ფიქრათაც არ მოუფიქროდა უმაღლეს სასწავლებელში შესვლა, თუ რომ არ წახალისებია და არ დაერწმუნებია ერთს კი მომზადებულ ყმაწვილს: ცოტა ხანს მოგინდება იქ ყოფნა და აგრეთვე შესაძლოა როგორც ნიჭიერ მოსწავლეს სასწავლებელმა შემწეობაც აღმოავიჩინოს.

ამიტომ იყიდა მაშინვე ლათინური და ბერძნული სახელმძღვანელოები და ძველი ენების შესწავლას შეუდგა.

ჯემსი ჯერ კიდევ სემენარიაში სწავლობდა, რომ იქ სასწავლებლათ მიებარა ერთი ახალგაზდა ქალი, ლუკრეცია რუდოლფი.

ბუნებით მორცხვი ჯემსი ყოველთვის ერიდებოდა ქალების საზოკადოებას; მაგრამ კეთილ-შობილური, მიმზიდველი გარეგნობა რუდოლფის ქალისა, უფრო კი მისი ნიჭიერი, მდიდრათ შემკული ბუნება ჰაბუკს ძალა-უნებურათ ხიბლავდენ.

ჯემსი განცვიფრებული იყო თავის ახალგაზდა ამხანაგ ქალის მრავალ გვარი ცოდნით. ერთათ დაიწყეს მეცადინობა და თითქმის

ერთნაირათ სწავლობდნენ. კურსის დამთავრების შემდეგ მეგობრები გულ-დაწყვეტილი გამოეთხოვეს ერთმანეთს.

სემენარიისაში ყოფნის უკანასკნელ წელაწადს ახალგაზდა გარფილდმა შეენიერი მქადაგებლის ნიჭი გამოიჩინა და მით დედა დიდათ გააკვირვა. როგორც კი გავარდებოდა ხმა, ჯემს გარფილდი აპირებს კვირაობით ქადაგებასო, აუარება ხალხი მოიყრიდა ხოლმე თავს. დედა ყოველთვის თვალ-ცრემლიანი ისმენდა მხურვალე გრძნობით სავსე სიტყვებს შვილისას და ღმერთს მადლობას სწირავდა ამისთანა მოწყალებისათვის.

დადგა გაზაფხული და გაცხარებული მუშაობაც თან მოჰყვა. გარსი ბოიტონი და ჯემს გარფილდი, ეს განუყრელი მეგობარ-ამხანაგები, მეზობლებთან სამუშაოს საშოვნელათ წავიდნენ.

მოვიდნენ ერთ დიდ სათიბ მინდვრების პატრონთან.

— რისთვის მოსულხართ, ყმაწვილებო? ჰკითხა მან.

— სამუშაოს ეთხოულობთ, — უპასუხა ჯემსმა.

— თხოულობთ კი, მაგრამ ცელის ხმარება იცით?

— ვიცით! ჩაიცინეს ორივე ახალგაზდა მუშებმა.

— მერე ქირას რამდენს თხოულობთ?

— რამდენისაც ღირსი ვიყოთ — იმდენი მოგვეცით.

მოეწონა მემამულეს ეს სიტყვა-პასუხიანი, ზორბა ბიჭები, წაიყვანა სათიბებზე და სამ უფროს მთიბაებს უთხრა:

— აი, ყმაწვილებო, კიდევ ორი „პატარა ბიჭი“ მოგიყვანეთ დასახმარებლათ.

„პატარა ბიჭებმა“ ერთმანეთს ცბიერათ გადახედეს, აიღეს ცელები და საქმეს შეუდგნენ. სათიცი არ გასულა, რომ მათ ვეებერთელა ადგილი უკვე მოთიბეს. სქელი ბალახი მოზრდილ ზვირთებთ წებოდა მათ წინ; საუცხოვო სანახავი იყო, როგორ მარდათ და შეთანხმებულათ დაფრინადნენ მათი ცელები მიწდორზე.

მემამულე ამისთანა ყოჩალი მუშებით აღტაცებაში მოდიოდა, ვერ მოითმინა და უფროს მთიბაებს უსაყვედურა.

— შეხედეთ იქ, როგორ უნდა თიბება! დააკვირდით ცელის მოქნივას! გრცხვენოდესთ, ყმაწვილებო, რომ პატარა ბიჭები გჯობნიან.

„პატარა ბიჭები“ ერთმანეთს გადახედავდნენ ხოლმე და იცინოდნენ.

ასე გავიდა ორი კვირა. უკანასკნელი საღამოც დადგა. მუშები ფულის ასაღებათ მოვიდნენ.

— რა მოგვეთ, ბიჭებო? იკითხა ეშმაკურათ მემამულემ. თვითონ კი გრძნობდა, რომ „პატარა ბიჭებისთვისაც“ ის ხელფასი უნდა მიეცა, რასაც უფროსებს აძლევდა.

— მოგვეცით, რაც დაემისახურეთ, უპასუხა გარფილდმა.

— უნდა გითხრათ, რომ პატარა ბიჭებს არ აძლევენ იმისთანა ხელფასს, როგორც დიდ მუშებს.

— აკი თითონ თქვენ „პატარა ბიჭებს“ მაგალოთათ უყენებდით დიდებს? მიუგო გარფილდმა, — თუ კი თქვენ ხედავთ, რომ ჩვენ დიდებს ბევრათ ვაჯობებთ, უნდა ჩვენც იმდენივე მოგვეცეთ.

— კარგი, მიიღეთ დიდებთან თანასწორი ფასი, მაგრამ გახსოვდეთ კი, რომ პირველი თქვენა ხართ, რომელთაც როგორც დიდ მუშას იმდენ ფასს გაძლევთ, თქვა მემამულემ.

— იმედია, ჩვენ უკანასკნელიც არ ვიქნებით, მიუგო სიტყვაპასუხიანმა ჯემსმა.

მემამულემ ჩაიციხა და თქვა: — თუ შენ კვირაობითაც ასე ყოჩაღათ ლაპარაკობ, როგორც ყოჩაღათ ცელსა ხმარობ, უსათუოთ მოვალ რომელიმე კვრა დღეს შენი ქადაგების მოსასმენათ.

— ეს რა ამბავია, ყველა რომ ჩემ ქადაგებაზე ლაპარაკობს. ვითომ კაი მქადაგებელი გამოვიდე?

— გეტყობა. უხუმრა ბოიტონმა. აქამდე შენ არაფრისთვის არ გითქვამს რა გზაზე აპირებ დაღვომას, რასაკვირველია ყველა თავისებურათ სჯის.

— რას ვიტყვოდი, თუ კი მე თვითონ არაფერი არ გადამიწყვეტია!

მე არც მქადაგებლობაზე, არც მასწავლებლობაზე უარს არ ვიტყვო-
დი, ვეჭილობასაც არა უშავს-რა. ოღონდ ექიმათ კი არასოდეს არ
წავალ.

ამ დროს ამერიკაში ზანგთა გათავისუფლების კითხვა აღიძრა
და ამის გამო დიდი არეულობაც იყო. ოგიოს შტატში თავისუფ-
ლებას ბევრი მომხრეები ჰყავდა. თავისუფლებაზე ხმა მალლა ჰქადა-
გებდნენ ქალაქის სასწავლებლებში, საჯარო ადგილებზე და თვით სა-
სოფლო სკოლაშიაც. იქნეს თუ ან იქნეს მონაბა ამერიკის რესპუბ-
ლიკაში? აი საკითხავი, რომლის გამოარკვევას ჯემსმა დიდი ჯაფა მო-
ანდომა. ის სწერდა და ლაპარაკობდა ადგზნებული მკვერ-მეტყვე-
ლებით: ეს სირცხვილია მთელი ერისთვის! გაიძახოდა ცხარეთ გარ-
ფილდი: ეს დიდი სირცხვილია ამერიკისთვის! სახსლო მადულს, რო-
ცა დამონებულ ზანგებს მოვიგონებ. მიკვირს, განვითარებული, გა-
ნათლებული კაცები მაინც რატომ უყურებენ გულ-კრილათ ამის-
თანა დამამცირებელ უღელს!..

გასაოცარი იყო, თუ როგორი მხურვალე გრძობითა და მკვერ-
მეტყველებით იცავდა ჯემსი თავის შეხედულებებს და რწმუნებს ამ
საგნის შესახებ. როცა ერთხელ „კამათობის“ საზოგადოებია სხდო-
მაზე სიტყვის წარმოქმა მოუხდა, ყველა იქ მყოფნი გააცბულნი
იყვენ ორატორის მრავალფეროვანი და საფუძვლიანი ცოლით,
აშკარა იყო, რომ მას ეგ საკითხარი გულით უყვარდა და საჯარო
კამათობისათვის მოსამზადებლათ აუარება წიგნები წაეკითხა.

— გავზავნოთ, ძმებო, ჯემსი კონგრესზე *) ოგიოს შტატის
წარმომადგენლათ. გაიძახოდნენ სტუდენტები სხდომას შემდეგ.

— მე გთხოვთ არსად არ გამკზავნოთ, სანამ ჩესტერის სემენა-
რიას არ დავასრულებ კანდიდატის ხარისხით, — სიცოლით მიუგო
ჯემსმა.

*) კონგრესი — ეკელა შტატების წარმომადგენელთა კრება, კონგრე-
სებზე ამერიკაში პრეზიდენტს ირჩევენ და ეკელა სასულემწიფო საგნებს
განაგებენ.

მას შემდეგ, რაც უმაღლეს სასწავლებელში შესვლა გადასწყვიტა, გარფილდი გულ მოდგინეთ შეუღლა ლათინური ენის შესწავლას; ყოველ თავისუფალ საათს ამ საგანს ანდომებდა.

შემოდგომის დამლევს, ჩესტერში ჩამოვიდა ერთი ყმაწვილი; ის იყო მოსწავლე ქალაქ აირამში (ოგიოს შტატში) ახლათ გახსნილ უმაღლეს სასწავლებელში, სადაც ჯერ-ჯერობით სულ ასი ყმაწვილი სწავლობდა, მაგრამ ამ რიცხვს თან-და-თან ემატებოდა. მოსულმა სტუდენტმა ფრიად სანუგეშო ამბები მოუტანა გარფილდს: ცხოვრება აირამში ჩესტერზე ძვირათ არ ჯდებოა, უმაღლეს სასწავლებლის ყველა მასწავლებლები იმ სასულიერო წოდებისანი არიან, რომელსაც გარფილდიანიც ეკუთვნოდნო, და საზოგადოთ სასწავლებელს მთელ ოლქში ძალიან კარგი სახელი აქვსო. მაშინ ჯემსმა გადასწყვიტა მოსამზადებელი კურსი ჩესტერში გაეწეო და შემდეგ უთუოთ შესულიყო უმაღლეს სასწავლებელში.

1850 წ. გიორგობისთვეში ჯემს გარფილდმა დაამთავრა ჩესტერის სემენარიაში სწავლა; კანდიდატის ხარისხი მიიღო ოცდამოთხრევაზე დიდებული სიტყვაც წარმოთქვა.

ჯემსის დღიურიდან ჩანს, თუ რანაირი ბეჯითობით ემზადებოდა ჯემსი გამოსათხოვარ სიტყვის თქმას, როგორ ეშინოდა, სითამამე მიმტყუნებს და სასწავლებელს შეაჯიჯნებო. მაგრამ ისე თვალსაჩინოთ ჰქონდა დაწერილი და ისე შეენიერათ წარმოთქვა თავისი სიტყვა, რომ თვით მასწავლებლებსაც გაუკვირდათ.

როგორც დადგა ზამთარი, დედამ თხოვა ჯემსს ცოტა დაესვენა და კლეველანდში წაჰყოლოდა თავის ნათესაეებს სტუმრათ. ამ დროს ახლათ იყო გაყვანილი რკინის გზის შტო აქეთ მხარეს და დედა და შეიღმა ორთქლ-მატარებლით პირველათ გაისეირნეს.

ქალაქის ცხოვრებას, უზარ-მაზარ შენობებს, ფართო ქუჩებს, განუწყვეტელ მოძრაობას არ შეეძლო ტყეში გახდილ ახალგაზდა ყმაწვილის ყურადღება არ მიეპყრო. გათენებიდან დაღამებამდე ყველაფერს ათვალიერებდა, უკვარდებოდა, დარბოდა იქაურ სასამართ-

ლოს სხდომებზე და აღტაცებული დედას ეტყოდა ხოლმე: ეს მოგზაურობა ჩემთვის თვალ-საჩინო ცხოვრების შესწავლაა. „მე, ჩემო დედა, აქ იმდენი რამეები ვნახე და გავიგონე, რომ სრული წარმოდგენა მაქვს იმაზე, თუ რა არის საზოგადოებრივი მოღვაწეობა!“ წამოიძახა მან ერთხელ, ქალაქიდან რომ დაბრუნდა. კლეველანდიდან წავიდენ დედიდასთან, რომელიც 15 წელიწადი არ ენახათ.

ჯემსი აქაც ვერ გაჩერდა უსაქმოთ ერთ ადგილას; გამოიკითხა, შეიძლება სადმე სკოლის მასწავლებლის თავისუფალი ადგილი იყოსო, მართლათაც იშოვა და სამ თვეს დაჰყო მასწავლებლათ. სკოლა საცოდავ მდგომარეობაში იყო; არც მშობლებს და არც კომიტეტის წევრებს არ ეზრუნათ, რომ საზამთროთ შეშა მანც მოემზადებინათ, ასე რომ ბავშვები და მასწავლებელიც ხის სახლებში სიცხით კანკალებდენ. მაგრამ ბედზე, სკოლიდან რამდენსამე საყენის მოშორებით ქვა-ნახშირის მდიდარი მადნები ყოფილ-იყო. ჯემსმა უთხრა მოსწავლეებს თვითონ ეზრუნათ თავისუფალ დროს სკოლის გათბობაზე; ბავშვები მასწავლებელთან ერთათ შეუდგენ მართლაც ქვა-ნახშირის მტვრევას და რამდენსამე დღეს შემდეგ ააგუჯუნეს კიდევ სკოლის ბუხარი. ამას შემდეგ ყმაწვილები უფრო ხალისიანათ შეუდგენ სწავლას. სკოლას ყველამ ქება დაუწყო; მშობლებმა, რომელნიც აქამდე თავის ბალებების სწავლა-განვითარების საქმეს გულგრილათ ეკიდებოდენ, ახლა ძალა-უნებურათ მიაქციეს ყურადღება და ყველა გულ-წრფელათ სწუხდა, როცა სამ თვეს შემდეგ, ჯემს გარფილდი და დედა მისი შინისკენ გაემგზავრენ.

XX.

ქალაქ აირამის უმაღლეს სასწავლებელში, ლექციების დაწყებამდე, კიდევ რამდენიმე კვირა დარჩენილიყო და ჯემსი შინ დაბრუნებისათნავე სამუშაოვს შოვნას შეუდგა. მას სურდა ყოველი ღონისძიება ეხმარა და იმდენი ფული მოეკროვებინა, რომ სწავლის

დასამთავრებლათ ჰყოფნოდა. როდესაც დრო დადვა, ჯემსი ქალაქ აირამს გაემგზავრა, გამოეცადა სკოლის კომიტეტს, უთხრა: ესადა-ეს ვარო, ჩესტერის სემენარიაში სამი წელიწადი ვიყავიო, სამ ზამთარს იქაურ სკოლებში ემასწავლებლობდით და ახლა მსურს კურსის დასამთავრებლათ შემოვიდე თქვენს ინსტიტუტშიო.

— მე ღარიბი ვარ, უთხრა მან, საშუალება არა მაქვს სწავლის ფული გადავიხადო და, თუ შესაძლო არის, ეზოს მცველათ დამაყენეთო; ზარს დაერეკავ ხოლმე, ეზოს დაეხვეტავ, თქვენ კი ჯამაგირის მაგიერ სასწავლებელში შესატანი ფულისაგან გამათავისუფლებთო.

— მერე საიდან ვიცათ, რომ თქვენ კარგათ და ბეჯითათ ასრულებთ მაგ მოვალეობებს? ჰკითხა კომიტეტის ერთმა წევრმა. — მუქათ კი აქ ჩვენ არაე-ს არ ვასწავლით.

— გამომცადეთ, მომეცით ორი კერა ვადა; თუ არ მოგეწონოთ, წავალ ჩემთვის, უპასუხა გარფილდმა.

იმ დროს ჯემსი 20 წლისა იყო. გამოცდის შემდეგ ის მიიღეს ეზოს მცველის თანამდებობაზე.

აირამი პატარა, განკერძოვებული ქალაქი იყო, რომელიც რკინის გზიდან თორმეტიორდე მილის მანძილზე მდებარეობდა; აქ ამას გაუფლიდა რამდენიმე ჯვარედინი სასოფლო გზა, ორი საყდარი, ექვსამდე ქვის სახლი და ინსტიტუტი—მეტე არა იყო-რა აქ შესანიშნავი. ინსტიტუტის შენობა იყო აგებული გ... კბულ სერის წევრზე, ასე რომ მის წითელ აგურის კედლებს შორიდანვე ყველა ხედავდა, ინსტიტუტს წინ გაშლილი მოედანი ჰქონდა.

აირამში ყველაფერი ახალი იყო—შენობებიც, საზოგადოებაც, ინსტიტუტის მთავრობაც და ორივე სქესის სტუდენტობაც. ჯემსი პირველ დღესვე დაუახლოვდა იქაურ დურგალ მოიჯარადრეს; მასთან სამუშაო დაიგულა და შემდეგ ოთხ სხვა სტუდენტთან ერთათ ბინა იქირავა. რა ლაპარაკი უნდა, ცოტა არ იყოს ვიწროთ იყვენ,

მაგრამ ნათქვამია, თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმებაო.

ზარის მრეკველის თანამდებობა აიძულებდა ჯემს თითქმის ალიონზე ამდგარიყო, რადგანაც პირველათ სწორეთ ხუთ საათზე უნდა დაერეკა ზარა. ხუთ საათზე ერთი წამითაც არ უნდა გადაეცილებინა, მაგრამ გარფილდისთანა ბეჯითი კაცისთვის სულ ერთი იყო, როდის ან რამდენჯერაც არ მოსთხოვდენ დარეკას, როგორც უბრძანებდენ, ისე ასრულებდა.

ერთი ამერიკელი ქალი სწავლობდა აარამის ინსტიტუტში იმ დროს, როცა ჯემსი იქ ეზოს მცველათ იყო. აი რას მოგვითხრობს იგი: „რადესაც გარფილდი ჩვენ სასწავლებელში შემოვიდა, ლექციებისათვის ფულის შეტანის სამაგიეროთ ასრულებდა ეზოს მცველის თანამდებობას. ახლაც, თითქო თვალ-წინ მიდგას, ვხედავ, როგორ უჭირავს ხელში ზარის თოკა და მომზადებულია ჩამოსწიოს იგი დანიშნულ წამს და მით აუწყოს მასწავლებლებს და მოსწავლეებს:—დროა თავ თავის ადგილზე წახვიდეთ და შრომას შეუდგეთო. სანამ ჩვენ მის წინ გავივლიდით სკოლის დარბაზში თავის მოსაყრელათ, ის ყველას ალერსიანათ თავს გვიკრავდა და თანაც განუწყვეტლათ რეკავდა. ეს იყო მთელ ინსტიტუტში ყველასაგან ცნობილი, მუდამ მხიარული, საკამოვნო მოზაასე და შემაქცევარი, საუცხოვო ჭკუა-მხეცილი და მოსწრებულ სიტყვა-პასუხიანი კაცი, მაგრამ მისი ხუმრობა გესლიანი და უმართებულო არასოდეს არ იყო. მე არ მახსოვს, რომ მისი ხუმრობა ვინმეს საწყენათ დარჩენოდეს და შეურაცხყოფათ მიეღოს“.

ჯემსმა თავისი მოვალეობის სეინიდიხერათ ასრულებით ისე აიმაღლა თავი, რომ ყველა ამხანაგების თვალში ერთ დიდ საპატიო კაცათ ჩანდა.

გაზაფხულზე, როდესაც ჯემსი ჯერ კიდევ პირველ კურსზე იყო, ინსტიტუტის დარექტორმა ურჩია სტუდენტებს ამოეთხარათ ყველას ტყეში თითო ხე, მოეტანათ ინსტიტუტის მოედანზე, და ერგოთ აქ და ამნაირათ მომავალ ბალისთვის საფუძველი დაედვათ.

— რა შეენიერი აზრია! წამოიძახა გარფილდმა ამ განკარგულების შესახებ.—ყოველმა ჩვენგანმა თითოს მაგიერათ ორ-ორი ხე რომ დაერგოთ, ერთი თავის წილი და მეორე რომელიმე სტუდენტ-

ქალის მაგიერ, ინსტიტუტის მოედანს კი არა, მახლობელ ქუჩებსაც გავალამაზებთ. მოდი მომავალ შაჰათიდან შეეუდგეთ საქმეს?

— შეეუდგეთ! ერთ ხმით შესძახეს ამხანაგებმა.

— ოც წელს შემდეგ ინსტიტუტის სტუდენტები ჩვენ მიერ დარგულ ბალის ჩრდილოვან ხეივანებში გაისეირნ-გამოისეირნებენ და მადლობას შემოგვითვლიან. სიხარულით შესძახა გარფილდმა.

სიტყვა შეასრულეს, ინსტიტუტის მოედანი მალე ნორჩ ბალათ გადაიქცა.

ამხანაგები ძალიან პატრესა სცემდნენ ჯემს გარფილდს; მათ თვალში ის კიდევ უფრო მალლა დაღვა, როდესაც სხვა მრავალ ღირსებათა შორის შეამჩნიეს მიუდგომელი სიმართლე თვით წერილმანებშიაც. თვითონ გაგიჟებით უყვარდა ერთი თამაში და ისინი, ვინც ამ სიამოვნებას მოკლებულნი იყვნენ, ძალიან ეცოდებოდა. ერთხელ როდესაც ამან დაიწყო თამაშობა, შენიშნა, რომ ცოტა მოშორებით უმცროს კლასის მოსწავლეებს თავი მოეყარათ და გულ-დაწყვეტილათ შესცქეროდნენ მას. ბავშვების თვლებში ნათლათ გამოიხატებოდა თხოვნა: ნება მოგვეცით, ჩვენც ვითამაშოთო.

— განა ეს ბავშვები ჩვენ თამაშობაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ? ჰკითხა ჯემსმა ერთ თავის ამხანაგს.

— დახეთ, კიდევ რა გამოიგონა! შეჰყვირა იმან.— ბალებთან თამაში! ისინი დაგვიშლიან მხოლოდ.

— თუ კი ძალიან უნდათ თამაშობა! რატომ არ შევერთდეთ?

— არაა საჭირო! მძიმე ბურთს მარდათ ვერ გააგორებენ და ცხვირ-პირს დაიმსხვრევენ.

— თუ ისინი არ ითამაშებენ—ალარც მე ვითამაშებ, თქვა ჯემსმა და ჯოხი ხელიდან გააგლო.

— ყმაწვილებო, რაც იქნეს-იქნეს, პატივი ვცეთ გარფილდს და ვითამაშოთ პატარებიც, დაყვირეს ზოგიერთ სტუდენტებმა, რომელთაც მარჯვე მოთამაშის დაკარგვა არ უნდოდათ.— დეე ითამაშონ; თუ შეგვიშალეს, ჯემსის ბრალი იქნება.

— სრულებით არ შეგვიშლიან, პირ-იქით მეტ მხიარულებას შემოიტანენ თამაშობაში. მიუგო ჯემსმა და ბავშვები მოთამაშეების წრეში მოიწვია.

პატუა.

(შემდეგი იქნება)



მევარი, გველი და ძღაბი.

(ა რ ა კ ი)

„ქილილა და დამანიდან“.

ერთ მევარს *) გველის სიახლოვეს სოლო გამოეთხარა. მევარი დაზრდიდა შვილებს, გველი მოვიდოდა და დაუჭამდა. გაუმწარდა მევარს სიცოცხლე და არ იცოდა, რა ღონე ესმარა, როგორ მოეშორებინა თავიდან ასეთი დაუძინებელი მტერი. მას მეგობრათ ჭეჟადა ერთი კიბორჩხალა. ერთ დღეს მევარი ამ კიბორჩხალასთან მივიდა, შესტირა და შესჩივლა: „მიშველე რამე, მომეც რჩევა და მასწავლე, რა გვარათ ვიხსნა თავი მტრისგან: ჩემ მეხობლათ ერთი გველი ცხოვრობს; მისი წყალობით შვილის ნატრული შევიქენ: რამდენი დავზარდე, იმდენი მოვიდა გველი და დამიჭამა; არ ვიცი, რა ვქნა და თავის საშველათ რა მოვაგვარო, ვადაკსახლდე საითმე, — ბინას შეჩვეული ვარ, ძლიერ მიევარს და არ მეთ-

*) მევარი ანუ გომფაშო, დიდი ბაყაყია. რუსულათ „жана“.

მობა; დაუჩე ბინაზე.—გველი არ მომასვენებსო“. კიბომ ასეთი რჩევა მისცა: „აქ ახლოს ერთი ძღაბი არის, დიდათ მოხსუბარი და მძვინვარე. შენ რომ თევზებს შეიპყრობდე და იმ ძღაბის სოროს ნაპირას დააწეობდე, ძღაბი თევზის ჭამას შეეჩვევა. შემდეგ ძღაბის სოროდან გველის სორომდე თევზები გაამწკრივ; ძღაბი თევზის ჭამით გველის სორომდე მიაღწევს და იმასაც იმ დღეს დააქენებს; შენ თავისუფალი დარჩები, იცოცხლე და შვილებითაც გაიხარეო“.

მევარს ძლიერ მოეწონა ასეთი ხერხი და ძალე სისრულემიაც მოიყვანა. ძღაბმა გველი შეჭამა. ორმა-სამმა დღემ რომ განვლო, ძღაბს თევზის ჭამა მოუნდა, გამოვიდა სოროდან და თევზის საძებრათ შეჩვეულ გზას შეუდგა; თევზი რომ ვერსად-ღა ჰპოვა, დაიწყო იმ ადგილებში სეტიალი და—დასე უბედურებას: მევარის ბინას წააწედა! რაღა თქმა უნდა, რომ გამხატებულმა ძღაბმა მევარს თავის ღლანებით თვალის დახამსამების უმაღლ გველის დღე დააქენა.



აკროსტიხი

აკროსტიხი.

(წარმოდგენილი ივ. ინასარიძისაგან)

გაჭკრა ლამპარი დიდებული ჩენი ერისა!
 აღარაინ გეყავს იმის მზგაესი მამულის შვილი.
 ბნელსა სამარეს ჩაესვენა მწყემსი მთავარი,
 რომელიც იყო თვის ერისთვის თავ განწირული:
 ის იყო კაცი აზროვანი, მხნეი მუშაკი;
 ეურჩებოდა ანგარებს და ბოროტებს;
 ლამობდა ხოლმე დაჩაგრულის აღდგინებასა,
 იყო კეთილი მით ვერ შეეძლებთ დავიწყებასა.

ხალხური გამოცანა.

(წარმოდგენილი განდგვილისაგან).

ვიხილე კაცი ცასა ბეწვით ეკიდა;
 მასეე კ.ცსა შუბისა წვერსა ჩარდახი ეღდა:
 ხმელსა ქურციკსა სდევდა,
 ზღვასა ზედა ტაიქსა არბევდა,
 და ცათ მიმართ ხელთა აპურობდა:
 „ღმერთო კურთხეულ ხარო“.



შ არ ა დ ა

(წარმოდგენილი თ. კანდელაკისაგან).

მე თვითონ მოკლე სიტყვა ვარ,
 ოთხი ასოდან შემდგარი:
 ვერც არას ცეცხლი დამაკლებს,
 ვერც თოვლი, სეტყვა, ვერც ქარი;
 სადაც ნესტია, წყალი სდის,
 ჩემი ადგილი იქ არის.
 თავს „ან“—ით ჰქვია დროშას და
 ძღვენსაც, საქმროსგან გაგზავნილს.
 მეორე სიტყვას ცალ ცაკე თავს მიუწერე უხმონი
 და ოთხი რამის სახელებს კადვე სხვა-და-სხვას იპოვნი:
 ერთ მათგანს ეხმარობთ, როცა ვწერთ,
 მეორეს-ნაცნობს როს ვხედებით,
 მესამით-ვხურავთ შენობებს,
 მეოთხეს ძნელათ მიხედებით.

ა ნ დ ა ზ ე ბ ი .

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან).

ადრე ამდგომსა ყმაწვილსა, ღმერთი უმზადებს სადილსა.

ზოგსა ჰგონია უფუნურს, ნაარმევია ტკბილიო:
 მამამ შეჭამა ისერიმი, შეილებს მოაჭრა კბილიო.

№ I შ არ ა დ ე ბ ის ა და რ ე ბ უ ს ის ა ხ ს ნ ა :

შ არ ა დ ა : იმერი: ერი, ირემი, ურემი. აკაკი.

რ ე ბ უ ს ი : შვიდ სამთავროს მოკლეობებს
 მოვლევარე ის მებელ ფერი
 და გვამღერებს ხალ წელსა,
 „ჯეჯილი“ ნ მ მ ბ რ ე ვ ა ლ ი .

რებუსი ახსნა: თბილისის სათავადაზნაურო სკოლის მოსწავლემ ილ. ხიჩსელიშვილმა.

რედაქტორ-გამოსცემელი ან თურქული-წერეთლისა.

